სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 11 მაისი 2005 №103 (2426) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუშინდელი რეკორდი

ამერიკის პრეზიდენტს თავისუფლების მოედანზე ასობით ათასი ადამიანი შეეგება

პრეზიდენტობისკენ გია ფირცხალავამაც გაიხედა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი გია ფირცხალავაა. თბილისის „დინამოს“ ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს გადაწყვეტით არ უთქვამს, ის კი გაგვიმხილა, ამ დღეებში საბოლოოდ მოვიფიქრებ და დიდი შანსია, 20 მაისამდე კანდიდატურა ოფიციალურად წამოვაყენოო. ფირცხალავა ამბობს, სახელიანი მხარდამჭერები მყავს, არც საფეხბურთო საქმიანობაში მაკლია გამოცდილება და სამთავრობო სტრუქტურებშიც მაქვს შეხვედრები. მაშ, რაღა დარჩა? ჩავთვალოთ, რომ ვლადიმერ გუცაევს, ზურაბ პეტრიაშვილს, გიორგი ნემსაძესა და რევაზ არველაძეს კიდევ ერთი კონკურენტი შეემატათ.

ბადრი კოპალიანის ფოტო

UEFA CHAMPIONS LEAGUE

წითელი და თეთრი

ფინალისტებმა ფერები გაინაწილეს

5

სან ანტონიოს წყალი არ გაუვა

სანიკიძეს დიჟონთან საქმე აქვს

12

პეტაკის ეტაკნენ?

ჯიროზე კინკლაობა დაიწყო

15

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ფირცხალავა პრეზიდენტობაზე დაფიქრდა

მიყვარს ფეხბურთი, მაქვს ზურგი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლოა კანდიდატურა წამოაყენოს გია ფირცხალავამ, ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა უფროსმა. ეს კულუარული ინფორმაციაა და თავს ვერ დავდებთ, გია ფირცხალავა თავის კანდიდატურას აუცილებლად წამოაყენებსო, თუმცა დიდია ალბათობა, რომ სწორედ ასე მოხდეს...

— ამ ინფორმაციას არც უარვყოფ, არც ვადასტურებ — გვითხრა გუშინ გია ფირცხალავამ — ჯერჯერობით ვფიქრობ, ღირს თუ არა კანდიდატურის წამოყენება.

— საბოლოო გადაწყვეტილებას როდის მიიღებთ?

— ფედერაციაში საპრეზიდენტო განაცხადების შეტანის ვადა 20 მაისამდეა, ანუ გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებ.

— პრეზიდენტობა თუ ისურვეთ, ფედერაციის რომელი სუბიექტი წამოაყენებს თქვენს კანდიდატურას?

— ეს პრობლემა არ იქნება, მხარდამჭერები ახლაც საკმაოდ მყავს.

— პრეზიდენტობა რამ გაფიქრებინათ?

— ქართული ფეხბურთის სიყვარულმა და მისმა ისეთმა კრიზისმა, როგორიც ახლაა. ფეხბურთში ახალი კაცი არ ვარ, საკმაო გამოცდილება მაქვს. თითქმის ოთხი წელიწადი ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტს ვხელმძღვანელობდი, ვიყავი თბილისის „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი, საქმიანი კავშირები მაქვს უცხოეთში, ჩემი პარტნიორები ავტორიტეტული ხალხია.

— კი მაგრამ, პარტნიორი და მხარდამჭერები პირველ ყოვლისა აქ გჭირდებათ. ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ პრეზიდენტობის კანდიდატთა სამთავრობო კავშირებზე...

— დღესდღეობით შეხვედრები მაქვს როგორც საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებთან, ისე სამთავრობო სტრუქტურებშიც.

— უფრო კონკრეტულად?

— ამას ჯერ ვერ გეტყვით. ისე კი, თანადგომას ბევრისგან ვგრძნობ.

— მოკლედ, არ გამოვრიცხოთ, რომ ხვალ-ზეგ საპრეზიდენტო კანდიდატურა გია ფირცხალავამაც წამოაყენოს?

— არ გამორიცხოთ. კანდიდატურის წამოყენებას ჩემი მხარდამჭერები მაფიქრებინებენ.

შეგახსენებთ, ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველი ოფიციალურად ჯერ მხოლოდ ერთია — ვლადიმერ გუცაევი, სავარაუდო კი — გიორგი ნემსაძე, ზურაბ პეტრიაშვილი, რევაზ არველაძე, ნოდარ ახალკაცი და აგერ, გია ფირცხალავაც.

კობა ინასარიძე

ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
მანჩესტერი 1:3 ჩელსი
ბელგია
თასის ნახევარფინალი
ლიერსი 0:1 ბრიუგე
შვეიცარია
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი
ბულე 0:3 ვილი
ავსტრია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
ალტახი 3:1 ლინცერი
უნტერზიბენბრიუნი 2:0 გრატკორნი
ვიორგლი 1:2 კაპფენბერგი
ლეობენი 0:4 კერნტენი
სლოვაკეთი
I ლიგა. XXVIII ტური
ინტერი 1:0 სოგოტა
რუჟომბეროკი 0:0 პუხოვი
ტრენჩინი 1:1 დუბნიცა

შვედეთი
ალსვენსკა. V ტური
სუნდსვალი 1:3 ჰალმსტადი
პოლონეთი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
ლეხი 0:0 ლეგია
სერბეთი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ჟელეზნიკი 3:0 რადი
ცრვენა ზვეზდა 0:0 პარტიზანი
ირლანდია
თასის ფინალი
ლინფილდი 1:0 ლონგფორდი
რუსეთი
თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
სატურნი 0:0 ცსკა (1:2)
საფრანგეთი
თასის ნახევარფინალი
ოსერი 2:1 ნიმი



ილია კოკაია ვალერი ჩოლარიას შეურიგდა

ზესტაფონის ევროფონი

ფერო აშენებს ბაზას და სტადიონს, ამშვიდებს ფედერაციას და გუცაევს

წლეულს „ზესტაფონის“ ერთადერთი მიზანი თასის მოპოვებაა, ჩემპიონატში კი უმოტივაციოა და ქულებს არიგებსო, ბოლო დროს ხშირად ისმის ასეთი ხმები. ფაქტებად კი ზესტაფონელთა თბილისში „ლოკომოტივთან“ და ფოთში „კოლხეთთან“ მატჩები მოჰყავთ.

მოკლედ, დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ ქართულ გუნდს არცთუ სასიამოვნო კონტექსტში ახსენებენ ხოლმე.

ამ ამბებს „ზესტაფონის“ პატრონის, სააქციო საზოგადოება „ფეროსა“ და ფეხბურთის ფედერაციას შორის მომხდარი გაუგებრობაც დაემატა. მოგეხსენებათ, „ფერო“ ფედერაციის სპონსორია, მაგრამ კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა წლეულს არ გადაუხდია. ფედერაციის გენმდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, სწორედ ამის გამო ფედერაციას ნაკრების მწვრთნელის ალენ ჟირესის ვალი დაუგროვდა, თუმც...

„ფეროს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია ფედერაციასთან სპონსორის საქმიან და კარგ ურთიერთობაზე საუბრობს და „ზესტაფონის“ ამბებსაც გვიყვება...

— ვალერი ჩოლარიას უკვე შევხვდი და ის პრობლემები დაწვრილებით ავუხსენი, რის გამოც ფედერაციის ანგარიშზე თანხის გადარიცხვა ვერ მოვახერხეთ. „ფეროს“ ფეხბურთის ფედერაციასთან ძველებურად კარგი და საქმიანი ურთიერთობა აქვს. ყველაფერი მალე გამოსწორდება, ჩვენს ვალდებულებას პირნათლად შევასრულებთ. ჩათვალეთ, რომ დღესდღეობით „ფეროს“ ფედერაციასთან ყველა პრობლემა მოგვარებული აქვს.

— ვერ გამიგია, „ზესტაფონს“ ჩემპიონატის მატჩების ჩაწყობა-გარიგებაში რატომ ადანაშაულებენ. დიახ, „კოლხეთთან“ ჩვენ მეორე შემადგენლობით ვითამაშეთ. რატომ? რამდენიმე დღეში ხომ დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩი უნდა გვეთამაშა და რა გასაკვირი იყო, რომ ფეხბურთელები დავასვენეთ, გაფრთხილებებსა და ტრავმებს ავარიდეთ?! გარდა ამისა, ახალგაზრდა ფეხბურთელებს მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. მოკლედ, „ზესტაფონი“ თამაშების ჩამწყობი გუნდი არ არის და ნურაფერს დაგვაბრალებენ.

— ზესტაფონის სტადიონზე ამ სეზონში აღარ ვითამაშებთ, რეკონსტრუქცია დავიწყეთ. თასის აღება თუ შევძელით, დიდი სურვილი გვაქვს, ევროტურნირების მატჩები სწორედ ზესტაფონში ჩავატაროთ. მთავარია, ჩვენი ნახელავი კომისიამ მოიწონოს და საკვალიფიკაციო ეტაპის მასპინძლობის უფლება მოგვცეს. თუმცა, ვიმეორებ, იქამდე ჯერ თასის ფინალი გვაქვს სათამაშო.

— ხელოვნურსაფარიანი მოედანი უკვე მზად გვექნებოდა, მაგრამ უამინდობამ შეგვიშალა ხელი. იქვე, სადაც ხელოვნურ საფარს დავაგებთ, ვაშენებთ საწვრთნელ ბაზას, გუნდი მაღალი დონის სასტუმროში იცხოვრებს და იდეალური სავარჯიშო პირობები ექნება.

— ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ ერთი ხმა აქვს, ჯერჯერობით ოფიციალური კანდიდატიც ერთია, ვლადიმერ გუცაევი და დღესდღეობით სწორედ მისი მხარდამჭერები ვართ. ხვალ თუ ვინმემ წამოაყენა ოფიციალური კანდიდატურა, მის პროგრამასაც გავეცნობით და ვიფიქრებთ... ახლა კი ერთადერთ კანდიდატურას — გუცაევს ვაძლევთ ხმას.

კობა ინასარიძე

ზესტაფონის სარბიელზე სარეკონსტრუქციო სამუშაობი უკვე დაიწყო

აუცილებლად დავბრუნდები

შოთა არველაძე: იუვენტუსის, მილანის და მანჩესტერის დრო წასულია

საქართველოს ნაკრების მთავარმეგოლე და გლაზგოს „რეინჯერსის" თავდამსხმელი შოთა არველაძე სეზონის ბოლოს შოტლანდიიდან აიბარგება. რომელ გუნდში გადავა არველაძე, ჯერჯერობით უცნობია, თუმც, როგორც ხდება ხოლმე, ვარაუდები უკვე მრავლად ისმის.

შოთასთან ინტერვიუ ქართველ მკითხველს არ აკლია, მაგრამ, ვფიქრობთ, საინტერესოა, რას ეუბნება არველაძე **uefa.com**-*ის ჟურნალისტ დენ ბრენანს...*

— რას იტყვით „რეინჯერსში" გატარებულ პერიოდზე?

— ვფიქრობ, ამ გუნდში ცუდად არ მითამაშია. „რეინჯერსთან" ერთად შოტლანდიის სამივე ტიტული მოვიგე, ამ სეზონშიც ჩემპიონობას ვაპირებთ. კარგია, როცა გუნდს მაჟორულ ნოტაზე ტოვებ. უეჭველია, რომ სადაც წავალ, ყველგან მომენატრება „სელტიკის" წინაღმდეგ თამაში, თუმც ერთის თქმა ზუსტად შემიძლია — შოტლანდიური ამინდი არასოდეს მომენატრება.

— ხომ არ ნერვიულობთ, რომ ჯერაც არ გაგირკვევიათ, რომელ გუნდში გადახვალთ?

— ასე არ ვიტყოდი. მე უკვე ბევრი მიცნობს და ეს საკმარისია. თანაც უკვე მივიღე წინადადებები ინგლისიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან და თურქეთიდან. ერთი იტალიური კლუბიც დაინტერესდა ჩემით, მაგრამ ვერ გეტყვით, ეს რამდენად სერიოზული წინადადებაა.

— ისე, რომელ კლუბში გსურთ გადასვლა?

— ვცდილობ, ყველაფერს რეალურად შევხედო. ადრინდელივით აღარ ვოცნებობ. მახსოვს, „აიაქსში" ჩატარებული წარმატებული სეზონის მერე „იუვენტუსის", „მილანის" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ინტერესზე ალაპარაკდნენ. ახლა კი 32 წლის ვარ, თუმცა დარწმუნებული ვარ, სეზონში 20 ბურთის გატანას შევძლებ. თუნდაც 15 გავიტანო — ახალ გუნდში გადასული ფეხბურთელისთვის ცუდი შედეგი?!

— 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები არცთუ წარმატებულად თამაშობს...

— ჩვენს ნაკრებს უკეთესად თამაში შეეძლო. ბოლო ორი მატჩი კი წავაგეთ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ალენ ჟირესი არცთუ დიდი ხანია, ნაკრებს წვრთნის — ის ახლა აშენებს ახალ გუნდს, რომელმაც ჯერ მხოლოდ ექვსი მატჩი ჩაატარა. ჩვენ დრო გვჭირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იმ დროისთვის, როცა საქართველოს ნაკრები რაიმე წარმატებას მიაღწევს, მე მოქმედი ფეხბურთელი ალბათ აღარ ვიქნები და ეს ძალიან მწყინს. მეორე მხრივ, ნაკრებში 50-ზე მეტი მატჩი ვითამაშე, 20 გოლი გავიტანე და მთელი 10 წელი გუნდის წამყვანი ფორვარდი ვიყავი. ვფიქრობ, ჩვენმა თაობამ ბევრი რამ გააკეთა და ამისთვის მომავალში მადლობას გადაგვიხდიან.

— კარიერის დასრულების მერე საქართველოში დაბრუნებას აპირებთ?

— საქართველოში ჯერაც რთული სიტუაციაა. ალბათ, ჩემს შვიდი წლის ვაჟს აყვავებული სამშობლო 20 წლის შემდეგ თუ ექნება, მაგრამ მე საქართველოში მაინც დავბრუნდები. ერთი ვიცი — ფეხბურთს ზურგს ვერ შევაქცევ. ვერ გეტყვით, ზუსტად რას გავაკეთებ მომავალში, მაგრამ ყოველთვის პირველობისთვის ვიბრძოდი და თუ ჩემს საქმეს კარგად ვერ გავაკეთებ, საერთოდ გავშორდები.

ვეძებთ, ბატონო, ვეძებთ

მარტო მერია ფეხბურთშიც ბრალიაო

ფოთის „კოლხეთი" უმაღლესი ლიგიდან არასოდეს გავარდნილა, მაგრამ ეს მწარე დროც მალე დაუდგება. კოლხები ჯერ ოფიციალურად არ გაფორმებულან პირველ ლიგაში, მაგრამ ბოლოსწინა ადგილზე არიან და უახლოეს კონკურენტ „სიონს" ხუთი ქულით ჩამორჩებიან, რაც ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ნამეტანი სხვაობაა. ფოთელებს უფსკრულისკენ მაშინ წაუვიდათ საქმე, როდესაც ფოთის პორტისგან დაფინანსება შეუწყდათ. პორტი სახელმწიფო ორგანიზაციაა, ასეთებს კი მთავრობა კლუბების დახმარებას უკრძალავს. ვერაფერს იტყვი, ეს გადაწყვეტილება ზუსტად ესადაგება მთავრობის ლოზუნგს — ფეხბურთი ჩვენი პრიორიტეტია...

გუშინ ფოთის პორტის თავკაც თემურ მიმინოშვილს ვესაუბრეთ. მასზე ამბობენ, ფეხბურთი ძალიან უყვარსო და, როგორც თავად გვითხრა, „კოლხეთის" ხელის გასამართად ბიზნესმენებს ეძებს.

„ფოთში ფეხბურთი არ უნდა მოკვდეს და არც მოკვდება. დრო მოვა და გუნდს სპონსორი გამოუჩნდება. ბუნებრივია, ყველანაირად ვცდილობთ, ბიზნესმენების მოძიებას, მაგრამ ჯერ გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვით, ვინ იქნება ასეთი. აპრილიდან მოყოლებული, „კოლხეთს" ქალაქის მერია ეხმარება".

კოლხების მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია დამაიმედებელს ვერაფერს გვეუბნება — უბრალოდ, გუნდი ამთავრებს ჩემპიონატს. ადგილობრივი ფეხბურთელებიღა ვარჯიშობენ, დანარჩენები კი მხოლოდ თამაშებისას გვიერთდებიანო.

გასვლით მატჩებზე „კოლხეთი" მერიის ფულით დადის. აი, სულ ეს არის შეღავათი, ან ვითომ სად გაგონილა, საფეხბურთო კლუბს მერია ინახავდეს.

აქ მარტო უმაღლესი ლიგიდან გავარდნა-არგავარდნაზე არ არის ლაპარაკი: ქართული ფეხბურთის საკარიბჭე ქალაქის გუნდი ასე უდღეურად არ უნდა იყოს.

ილია ნანოგაშვილი

გიორგი ადამიას ნავთობი მოსწყურია

აზერბაიჯანის დონე მარტო ფული ბრალია

ოთხი-ხუთი წლის წინ კაციშვილი ვერ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელები აზერბაიჯანულ კლუბებში წავიდოდნენ. მიგრაციის მიზეზი, ცხადია, პირობები და იქაური კლუბების სქელჯიბიანობაა. რომ ვთქვათ, სათამაშო დონითაც საქართველოზე მაღლა დგანანო, გადამეტება გამოგვივა, მაგრამ აზერბაიჯანში ფეხბურთს მთავრობისგან ყურადღება რომ ექცევა, ფაქტია.

აზერბაიჯანელი ქართველებიდან გიორგი ადამია საუკეთესოა, მისი „ნეფთჩი" მესამე ადგილზეა და ჩემპიონობას ეშურება. სხვა ამბების გარდა, გიორგიმ საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონატებს შორის მსგავსება-განსხვავებაზეც ილაპარაკა...

გიორგი ადამიას ფოტო

— ოთხი ტური დარჩა და ლიდერ „ხაზართან" სამ ქულას ვაგებთ, მაგრამ ჩემპიონობის კარგი შანსი გვაქვს. ჯერ ერთი, „ხაზართან" შინ ვთამაშობთ და მეორეც, ერთ მატჩში წინასწარ გვიწერია სამი ქულა. საქმე ისაა, რომ ის გუნდი მოხსნილია ჩემპიონატიდან. ასე რომ, დარჩენილი სამივე თამაში უნდა მოვიგოთ.

— გოლები კი გაგაქვს, მაგრამ ისე ხშირად ვერა, როგორც თანამეგობრობის თასზე...

— ზოგჯერ მარცხნიდან მიწევს თამაში და უფრო პასების გაკეთება მევალება. გააჩნია, გუნდს სადაც ვჭირდები, იქ მათამაშებენ. ისე, აქ ჩემით კმაყოფილები არიან.

— „ნეფთჩიში" ვალერი აბრამიძე ჩამოვიდა. მისით თუ არიან კმაყოფილები და კიდევ რომელიმე ქართველის დამატებას ხომ არ აპირებენ?

— აბრამიძე მაგრად დგას დაცვაში. რაც შეეხება ვინმეს დამატებას, ახლა სეზონი მთავრდება და ამაზე ჯერ არავინ ლაპარაკობს.

— საქართველოში აზერბაიჯანის ჩემპიონატი სალაპარაკო თემა გახდა. პირობები მანდ უკეთესია, მაგრამ სათამაშო დონე როგორია?

— როგორ გითხრათ, მარტო ფული ხომ არ წყვეტს ყველაფერს?! უბრალოდ, სადაც ფინანსებია, დონეც მატულობს. აქ 6-7 გუნდს დაახლოებით თანაბარი პირობები აქვს და უფრო დაძაბული ჩემპიონატია, ვიდრე საქართველოში. ეს არის განსხვავება, თორემ დონის მხრივ დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ.

— აზერბაიჯანულ კლუბებში ალბათ უფრო ლეგიონერები ქმნიან ამინდს...

— მთლად ასეც ვერ ვიტყვი. კი, „ხაზარს" ჰყავს თურქი ოქთაი, რამდენიმე კლუბში ბრაზილიელებიც არიან, ქართველებიც ვყოჩაღობთ, მაგრამ აზერბაიჯანელებიც ნორმალურად თამაშობენ.

— მოედნების მხრივ როგორაა საქმე, საქართველოსას სჯობია?

— თითქმის ერთი დონეა. აქაც ბევრგანაა ოღრო-ჩოღრო მინდვრები.

— გულშემატკივრების დასწრებაზე რას იტყვი და მანდ თუ ხდება ექსცესები? ვთქვათ, იმის მაგვარი, როგორიც „ვიტ ჯორჯია" — „სიონის" „ოქროს მატჩზე" იყო...

— „ნეფთჩიში" ახალი გაღასული ვიყავი, როცა ერთ-ერთი თამაშისას ჩვენმა გულშემატკივრებმა ატეხეს დებოში. მას მერე ჩხუბი არ ყოფილა და სხვა გუნდების თამაშისას თუ რამ მოხდა, ეს არ ვიცი. გულშემატკივრების ნაკლებობა კი არ შეინიშნება, აქ უყვართ ფეხბურთი.

— შარშან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ნეფთჩი" თითქმის ტოლ-სწორად ებრძოლა მოსკოვის ცსკა-ს. კლუბის ხელმძღვანელობას რა მიზნები აქვს მომავალ ევროტურნირზე?

— ჯერ დარჩენილი სამივე თამაში უნდა მოვიგოთ, ამიტომ ევროპაზე ფიქრი ნაადრევია. ისე, ახალი ფეხბურთელებით რომ გავძლიერდებით, ეს კი ვიცი.

— „ნეფთჩიში" კმაყოფილი ჩანხარ და გამოდის, წასვლას არ აპირებ...

— კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლომდე მაქვს. ვნახოთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ არა მგონია, იქამდე „ნეფთჩიდან" წავიდე.

ილია ნანოგაშვილი

აკაკი დევაძე ორ კვირაში დაიწყებს

საქართველო — თურქეთის მატჩში აკაკი დევაძემ ალეკო ამისულაშვილთან და ილდირაი ბაშთურქთან შეჯახებისას ყვრიმალის ძვალი გაიტეხა, უმძიმესი სამსაათიანი ოპერაცია გადაიტანა და, შეიძლება ითქვას, ბეწვზე გადარჩა. მკურნალობის პროცესი ხანგრძლივი რომ იქნებოდა, ამას თქმაც არ უნდოდა, მაგრამ... ორიოდ კვირაში აკაკი ვარჯიშს დაიწყებს.

„ყბის არეში ტკივილები ისევ მაქვს, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი გაივლის. ორი კვირაც და ვარჯიში შემეძლება. წარმოუდგენლად მომეწატრა მინდორზე გასვლა" — გვითხრა გუშინ დევაძემ.

ილია ნანოგაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპულს მანჩესტერში განიხილავენ

იუჰანსონს წესის შეცვლა უნდა

ლენარტ იუჰანსონი

ამჟამად მოქმედი წესის თანახმად, ჩემპიონთა თასის მფლობელ გუნდს ამავე თასის მომდევნო გათამაშებაში ადგილი ავტომატურად არ ეკუთვნის — 25 მაისს, სტამბოლში „ლივერპულმა" „მილანს" რომც მოუგოს, 2005-2006 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგას მაინც ვერ ელირსება. ამისთვის მხოლოდ საჭირო იყო, რომ „ლივერპულს" პრემიერლიგის ზედა ოთხეულში დაეკავებინა ადგილი, მაგრამ საამისო პერსპექტივა აღარ არსებობს. ოთხეული უკვე გარკვეულია: „ჩელსი", „არსენალი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ევერტონი".

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა თქვა, უსამართლობაა, რომ ჩემპიონთა თასის მფლობელს მომდევნო სეზონის გათამაშებაში ადგილი არ ეკუთვნისო. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ საკითხს ივნისში, უეფას მორიგ სხდომაზე განიხილავენ, რომელიც მანჩესტერში შედგება.

„ევერტონის" მწვრთნელ დევიდ მოიესს „ლივერპულის" საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ოღონდ წესების შეცვლამ ქაოსი არ გამოიწვიოსო. მოგეხსენებათ, „ევერტონმა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება ოფლის ღვრით მოიპოვა, „ლივერპულს" კი ადგილი პირდაპირ, ლამის მუქთად უნდა ერგოს, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგაში მეხუთეა.

ვაჟა ხუციშვილი

წითელი და თეთრი

ფინალისტებმა სამოსი გაარკვიეს

25 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ინგლისურ „ლივერპულს" თავისი ტრადიციული, წითელი სამოსი ეცმევა.

მოგეხსენებათ, უეფას წილისყრამ მეორე ფინალისტს, „მილანს" მიანიჭა საშინაო გუნდის სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ „მილანს" შეეძლო თავისი, ასევე ტრადიციული შავ-წითელი ფორმით ეთამაშა, მაგრამ „მილანმა" „ლივერპულს" დაუთმო და სტამბოლში თეთრი სამოსით თამაში გადაწყვიტა.

საზოგადოდ ცნობილია, რომ საფინალოდ, „მილანისთვის" თეთრი ფორმა ბედნიერია — ორი წლის წინათ, „მილანმა" სწორედ თეთრ ფორმაში მოიგო ჩემპიონთა თასი. ასეთი რამ ადრეც მომხდარა, ასე რომ, დათმობა სანერვიულო არ არის, პირიქით, მილანელთათვისაც მისაღებია.

„ლივერპულს" კი ოთხჯერ მოუგია ჩემპიონთა თასი და ოთხჯერვე წითელ სამოსში. მეტიც, ოთხჯერვე, დამარცხებულებს თეთრი ემოსათ.

ირაკლი გამყრელიძე

ჯერ იფიქრე, მუშტი მერე გაიქნიე

ტოტი მშრალზე ისევ დასვეს


ფრანჩესკო ტოტის დისკვალიფიკაცია არ მოუხსნეს

რა თქმა უნდა, ჯობდა, ფრანჩესკო ტოტის შედეგებზე ადრე ეფიქრა, ვიდრე ფრანჩესკო კოლონეზეს გალახავდა და არა გალახვის მერე. გავიხსენოთ: „სიენასთან" მატჩისას, რომელიც რომაელებმა 2:0 მოიგეს, ფრანჩესკო ტოტიმ სეხნია კოლონეზეს სახეში მუშტი უთავაზა. ისიც გავიხსენოთ, რომ ტოტისგან უწესო ქცევა გასაკვირი სულაც არ არის, თუმც „რომას" კაპიტანს მუშტის ქნევაზე მეტად ფურთხება ეხერხება.

სიენელი ფეხბურთელის ცემის მერე, იტალიელმა დისციპლინარებმა ტოტის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. ტოტიმ ეს ამბავი იწყინა — ეგრე ძალიანაც არ გამილახიაო და სარჩელი შეიტანა. უარის უთხრეს. ტოტი კი მაინც არ დაწყნარდა და გუშინ აპელაცია მეორედაც აფრინა, თითქოს ორჯერ დადასტურებულ სასჯელს დისციპლინარები მესამე ჯერზე შეცვლიდნენ. მესამე და სამართალი-ო, ალბათ ეგრე იფიქრა, მაგრამ...

ერთი სიტყვით, ფრანჩესკო ტოტიმ ამ აპელაციაზეც უარი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში მხოლოდ ერთი მატჩის ჩატარების საშუალება დარჩა — ბოლო ტურში, 29 მაისს „კიევოს" წინააღმდეგ ითამაშებს.

კოტე კეკელია

გინდათ ჯილარდინო?

გადაიხადეთ 35 მილიონი!

ვისაც ალბერტო ჯილარდინოს შეძენა სურს, 35 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს — ეს განცხადება იტალიური „პარმას" ხელმძღვანელობამ ძირითადად „მილანის", „რეალის", „იუვენტუსისა" და „ჩელსის" გასაგონად გაკეთა. თავის მომავალზე თავად ჯილარდინომაც ისაუბრა

„ადრიანო 50 მილიონ ევროდ გავყიდეთ და ჯილარდინოსთვის ეს ფასი დიდი ნამდვილად არ არის. შეიძლება ითქვას, იგი უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ბრაზილიელი. ბოლო წლებში, არც ერთ იტალიელ ფეხბურთელს ზედიზედ ორი სეზონი ასე სტაბილურად არ უთამაშია" — თქვა „პარმას" დირექტორმა ლუკა ბარალდიმ.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ჯილარდინომ 23 გოლი გაიტანა, წლეულს კი უკვე 22-ჯერ შეძლო მეტოქეთა კარის აღება და სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

ეს იყო და, ახალგაზრდა ვარსკვლავმა თავის შესაძლო ტრანსფერზე ილაპარაკა და აღნიშნა, რომელიმე დიდ კლუბში გადასვლა და გადაჭედილ სტადიონზე თამაში მინდაო, რამაც კიდევ ერთხელ გამოიწვია „მილანის" ასოციაცია, რადგანაც „სან სიროზე" ტრადიციულად ბევრი გულშემატკივარი მიდის. ფეხბურთელმა ისიც თქვა, თუ იტალიის დატოვება მოუხდა, ინგლისში გადაბარგებას, ესპანეთი მირჩევნიაო.

ალბერტო ჯილარდინო: „სერიოზულ გუნდში გადასვლა მინდა, რომელიც ტიტულებისთვის იბრძვის და 70 ათასი ქომაგის წინაშე თამაშობს. ცხადია, ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ბრძოლაც მოუწევს, მაგრამ ამის გამოცდილება უკვე მაქვს, რადგანაც „პარმაში" ისეთ ფეხბურთელებს უთამაშიათ, როგორებიც ადრიანო და ადრიან მუტუ არიან".

გიორგი კაკაბაძე

დინამო გაპორტუვდა

ფიოდორეჩევმა ორი თქვა, ერთი შეინახა


მანშე რიბეირუ

მოსკოვის „დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსეი ფიოდორეჩევმა განაცხადა, დარწმუნებული ვარ, ამ ზაფხულს „პორტუდან" მანშე რიბეირუს და ფრანსისკო კოშტინიას გადმოვიბირებთო.

„ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია, თუმც ცნობილია, რომ მანშეთი „მანჩესტერ იუნაიტედიცაა" დაინტერესებული. „დინამოს" ორივე ფეხბურთელის შეძენა დაახლოებით 23-25 მილიონი დოლარი დაუჯდება. მართალია, ახალ გუნდთან შესაგუებლად მათ დრო დასჭირდებათ, მაგრამ ამას მწვრთნელი მოაგვარებს. მანშესა და კოშტინიას გარდა კიდევ ერთ ძლიერ ფეხბურთელს შევიძენთ, ოღონდ გვარს ჯერჯერობით ვერ გავამხელ".

ვაჟა ხუციშვილი

ჯორჯ ბესტი მეუღლე ალექსს ცოტა ხნის წინ გაეყარა

ბესტი კლინიკაში

ლეგენდა ორ კვირაში მოკვდებაო

ლეგენდარული ჩრდილო ირლანდიელი ჯორჯ ბესტი გუშინ დილით სასწრაფოდ გადაიყვანეს კლინიკაში, რომელიც „არსენალის“ ყოფილ კაპიტან ტონი ადამსს ეკუთვნის. მისი ჯანმრთელობა გაუარესებულია და ექიმების აზრით, ორი კვირის სიცოცხლეღა დარჩა.

ბესტის აგენტმა ფილ ჰიუზმა განაცხადა, ბოლო თვეების განმავლობაში თავს ძალიან ცუდად გრძნობდაო. ამის მიზეზი კი ჯორჯ ბესტის ნაცოლარის, ალექსის მიერ გამოქვეყნებული წიგნი ყოფილა. მასში ცოლ-ქმრის ცხოვრება დეტალებშია აღწერილი. ჯორჯ ბესტი და ალექსი დაახლოებით ერთი წლის წინ გაიყარნენ.

1983-ში, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ, ბესტი გალოთდა. 2002 წელს მას ტრანსპლანტანტი „ჩაუმონტაჟეს“, რათა ალკოჰოლიზმისგან გათავისუფლებულიყო, მაგრამ ამაოდ. შარშან ავტომობილის მართვის უფლებაც ჩამოართვეს, რადგან საჭესთან შეზარხოშებული იჯდა.

ვაჟა ხუციშვილი

ახლო წარსულში მადრიდის „რეალის“ ლეგენდარული კაპიტანი, დღეს კი ინგლისური „ბოლტონის“ ფეხბურთელი ფერნანდო იერო დიდ ფეხბურთთან გამოთხოვებას აპირებს

რკინის კაპიტანი მალაგადან მარადიული არაფერია

როგორც 37 წლის ვეტერანმა თანამემამულე „ასის“ ჟურნალისტს განუცხადა, იგი ბოლო მატჩს „ევერტონის“ წინააღმდეგ გამართავს.

„აღრე თუ გვიან, ფეხბურთთან გამომშვიდობება ყველას მოუწევს. ჩათვალეთ, რომ ჩემთვის ეს დრო უკვე დადგა. საკმარისია, ახლა სხვა ცხოვრების დაწყებაზე ვფიქრობ“ — განაცხადა იერომ.

ფერნანდო იეროს საფეხბურთო კარიერა „ვალიადოლიდში“ დაიწყო, მერე იყო „რეალი“ და... სამჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი, ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი, ხუთჯერ ესპანეთის ჩემპიონობა —აი, იმ ტიტულების არასრული სია, „რკინის კაპიტანს“ რომ მოუხვეჭავს.

„მინდა, „ბოლტონს“ და ყველა ინგლისელ გულშემატკივარს მადლობა მოვახსენო, თუმც მარადიული არაფერია და მეც მოედანზე მუდმივად ვერ გავრჩერდები“ — დასძინა ბოლოს წარმოშობით მალაგელმა.

ლადო ხომერიკი



ფერნანდო იერო ფეხბურთიდან სეზონის ბოლოს წავა

ვიქტორ მუნიოსი ჯერჯერობით „სარაგოსაში“ კმაყოფილია

საგზური თუ ვერ მოიპოვა...

ვალენსიაში მუნიოსზე ალაპარაკდნენ

ესპანეთში ამბობენ, „სარაგოსას“ ამჟამინდელი მწვრთნელი ვიქტორ მუნიოსი მომავალი სეზონიდან „ვალენსიას“ გაწვრთნისო.

მოგეხსენებათ, ვალენსიელებს ახლა ანტონიო ლოპესი თავკაცობს, თუმც მისი კლუბში დარჩენა რიგ გარემოებებზე ყოფილა დამოკიდებული — თუ „ვალენსიამ“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, მწვრთნელი მუშაობას გააგრძელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი...

„ჩვენ გვყავს კაცი, რომელსაც გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელების ყიდვაც შეუძლია და ზოგჯერ მწვრთნელის უფლებამოსილების შესრულებასაც კარგად ახერხებს“ — ეს „ვალენსიას“ პრეზიდენტმა გაზეთ „მარკას“ ანტონიო ლოპესზე განუცხადა, თუმც, როგორც ესპანელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, პრეზიდენტი მწვრთნელის საქმიანობით უკმაყოფილოა და მომავალში მის სპორტულ დირექტორად გადაყვანას გეგმავს, რათა ვიქტორ მუნიოსი მიიყვანოს.

ლადო ხომერიკი

მარადონამ, რონალდინიო ჯადოქარიაო

დიეგომ მადრიდს იმედი მოუსპო

ესპანეთში ნასტუმრევმა დიეგო მარადონამ, არც აცია, არც აცხელა და მადრიდის აეროპორტშივე, იქაურთა გულის გასახეთქად განაცხადა — პრიმერდივიზიონს აუცილებლად „ბარსელონა“ მოიგებსო.

„ყველაზე მეტად ჩემპიონობა, სწორედ „ბარსას“ ეკუთვნის. რა თქმა უნდა, მადრიდის „რეალიც“ ფანტასტიკური გუნდია, მაგრამ, ჩემი აზრით, „ბარსა“ მაინც სჯობს“ — განმარტა დიეგომ.

ლეგენდარულ არგენტინელს არც თავისი ჯილა, რონალდინიო დავიწყებია და სიამაყით თქვა, რონი მართლაც ჯადოქარი, გენიალური ბიჭია, პიროვნულ თვისებებს და საფეხბურთო ოსტატობას ერთმანეთს ჩინებულად უთავსებს და ათონმრიან მაისურასაც დამსახურებულად ატარებსო.

ლადო ხომერიკი

დიეგო მარადონამ რონალდინიოს „ბარსელონა“ ესპანეთის ჩემპიონად უკვე მონათლა

თხების ახალი პატრონი

ბილეფილდის „არმინიას“ მწვრთნელმა უვე რაპოლდერმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს „კიოლნს“ ჩაიბარებს, რომელიც მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღზევდა. 46 წლის რაპოლდერმა „თხებთან“ ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და გუნდი ბუნდესლიგაში ადგილს თუ შეინარჩუნებს, კონტრაქტსაც გაუხანგრძლივებენ.

„კიოლნის“ ყოფილი თავკაცი, ჰოლანდიელი ჰუბსტევენსი კი სამშობლოში დაბრუნდა და კერკრადეს „როდას“ მწვრთნელობას დათანხმდა. სტევენსს ცოლი ჰყოლია ავად და კიოლნში დარჩენაც ამად იუარა.

უვე რაპოლდერს „არმინიაში“ მუშაობის გაგრძელება კი სურდა, მაგრამ კლუბმა რამდენიმე მთავარი ფეხბურთელი (ოვომოიელა, შკელა, ბაკლი) გაყიდა და ამიტომაც აღარ დათანხმდა კონტრაქტის გაგრძელებაზე.

ვაჟა ხუციშვილი

„იუვენტუსის" კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ გასულ უქმეებზე, „მილანის" წინააღმდეგ საკმაოდ შთამბეჭდავად ითამაშა. შეიძლება ითქვას, ეს ამ სეზონში მისი საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მატჩი იყო, თანაც უმნიშვნელოვანესი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ფაბიო კაპელომ დელ პიერო მთელი 90 წუთი ათამაშა, რაც წლეულს ძალიან იშვიათი მოვლენაა

ისევ ის არ არის, მაგრამ დელ პიეროა

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ყველაფერს შესაბამისი გამოხმაურებაც მოჰყვა იტალიურ პრესაში — დელ პიერო ტურის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. „სკუადრა აძურას" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ კი მისი აღზრდილი ფეხბურთელისადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა და კიდევ ერთხელ მიანიშნა ყველას, რომ ალექსი ისევ ნაკრების წევრია.

მარჩელო ლიპი: „დელ პიერო დიდი ფეხბურთელია. როდესაც მას ცვლიან, პროტესტს აშკარად არ გამოხატავს და მუშაობას განაგრძობს. ახლა კი თავისი გუნდი მორიგი სკუდეტოსკენ მიჰყავს. ალექსი მუდამ ასეთი იყო. იგი ყოველთვის ცდილობს, მაქსიმალური სარგებლობა მოიტანოს, როდესაც ეს საჭიროა".

აქვე შეგახსენებთ „მილანთან" მატჩის ყველაზე დასამახსოვრებელ და გადამწყვეტ მომენტს — დელ პიერომ მარცხენა ფლანგზე ორჯერ მშვენივრად მოატყუა ჯენარო გატუზო, ჩაწოდების პირველი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, რის შემდეგაც ტურინელთა მეათე ნომერმა ჩინებული მაკრატელათი ბურთი მეტოქის საჯარიმოში გადაგზავნა, სადაც მას დავიდ ტრეზეგე დაუხვდა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

„დელ პიერომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ხშირად უაზროდ აკრიტიკებენ და მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. შეიძლება იგი ისეთივე ძლიერი და თავის პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესო აღარ არის, როგორც 1998 წელს იყო, მაგრამ ისევ დიდი სარგებელი მოაქვს თავისი კლუბისთვის, რომელიც უდავოდ ძალიან უყვარს" — განაცხადა იტალიაში ერთ-ერთმა გამორჩეულმა ჟურნალისტმა ანდრეა ლაბატემ.

მთლიანად „იუვენტუსისა" და კერძოდ, დელ პიეროს თამაშით კმაყოფილია ფაბიო კაპელოც. მას მოსავალ უქმეებზე პატარა თავსატეხიც გაუჩნდა, რადგანაც დავიდ ტრეზეგე ბოლომდე მომჯობინდა, დელ პიერო ნორმალურ ფორმაშია, ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩი დისკვალიფიკაციის შემდეგ გუნდს უბრუნდება. შესაბამისად, „პარმასთან" მატჩში ტაქტიკოსს საკმაოდ რთული არჩევანის გაკეთება ან სათამაშო სისტემის გადაწყობა მოუწევს.

გიორგი ძაძაბაძე

თოფ-ამბები არსენალიდან
ვენგერს ლე გუენი შეცვლის



შენ მე შემცვლი — არსენ ვენგერი პოლ ლეგუენს „არსენალის" მომავალ თავკაცად მოიაზრებს

„ლიონის" მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება იუარა.

პსჟ-ს ყოფილმა მოთამაშემ უარყო ცნობა იმის თაობაზე, თითქოს პარიზულ გუნდში გადასვლას აპირებდეს. სამაგიეროდ დაადასტურა, რომ საზღვარგარეთ მუშაობა სურს და ალბათ, ლონდონის „არსენალში", არსენ ვენგერთან გადაბარდება. ვენგერს „არსენალთან" კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს და ამ ვადის გასვლის შემდეგ, სავარაუდოდ, კლუბის დირექტორი გახდება, მის შემცვლელად კი სწორედ პოლ ლე გუენს განიხილავენ, რომელმაც საფრანგეთში „ლიონთან" ერთად ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონატი.

ამასობაში, „არსენალის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ედუმ კლუბის დატოვება გადაწყვიტა, რადგან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. მას ლონდონიდან წასვლა ჯერ კიდევ იანვარში სურდა, როცა „ვალენსია" ეპატიჟებოდა, მაგრამ მაშინ გარიგება არ შედგა. ედუს აგენტის თქმით, მისი კლიენტით მადრიდის „რეალი", „ბარსელონა", „ვალენსია" და „იუვენტუსი" არიან დაინტერესებულნი. თვითონ ფეხბურთელი კი აცხადებს, ისეთ გუნდში გადასვლა მინდა, სადაც სათადარიგოთა სკამზე არ დამსვამენო.

ვაჟა ხუციშვილი

მათეუსი ლოკომოტივში
ბებერს ბურთი მოენატრა

44 წლის ლოთარ მათეუსი ფეხბურთს უბრუნდება. იგი ლაიპციგის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში, ამავე ქალაქის თასის ნახევარფინალურ მატჩში თამაშს აპირებს.

„პოზიცია თვითონ შეარჩიოს, ათნომრიანი მაისურა კი მისთვის უკვე დაჯავშნული გვაქვს" — განაცხადა „ლოკომოტივის" მწვრთნელმა რაინერ ლისევიჩმა.



ლეგენდარული ლოთარ მათეუსი მსოფლიოს ხუთი და ევროპის ოთხი ჩემპიონატის მონაწილეა. გერმანიის ნაკრებში 150-ჯერ ითამაშა. ორჯერ მსოფლიოს, ერთხელ კი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. კარიერის დასრულების შემდეგ ჯერ ვენის „რაპიდს" წვრთნიდა, მერე ბელგრადის „პარტიზანს", ხოლო ამჟამად უნგრეთის ეროვნულ ნაკრებს თავკაცობს.

რაც შეეხება ლაიპციგის „ლოკომოტივს", ეს გუნდი ოდესღაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერესი გუნდი იყო, ახლა კი გერმანიის მეთერთმეტე ლიგაში თამაშობს.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXV ტური

ბრესტი 1:1 ტრუა

1:0 მალმი (41პ), 1:1 ნივე (64)

ნანსი	35	19	7	9	51:32	64
ლე მანი	35	19	6	10	47:29	63
ტრუა	35	18	8	9	56:43	62
ბრესტი	35	13	15	7	38:32	54
სედანი	35	15	9	11	35:34	54
დიჟონი	35	13	14	8	39:30	53
შატორუ	35	12	15	8	46:38	51
გენგამი	35	13	10	12	46:40	49
მონპელიე	35	13	10	12	36:34	49
გრენობლი	35	12	11	12	43:44	47
ლავალი	35	13	7	15	41:45	46
გენიონი	35	11	12	12	28:33	45
ლორიანი	35	12	7	16	43:50	43
ამიენი	35	10	12	13	35:39	42
ლე ავრი	35	11	8	16	25:33	41
რეიმსი	35	9	12	14	30:50	39
კლერმონი	35	8	14	13	34:35	38
კრეტეი	35	8	13	14	34:37	37
ანჟე	35	7	14	14	30:41	35
ნიორი	35	8	8	19	31:49	32

პორტუგალია

სუპერლიგა. XXXII ტური

სპორტინგი 1:0 გიმარაეში

1:0 ტელო (58)

სპორტინგი	32	18	7	7	64:31	61
ბენფიკა	32	18	7	7	49:30	61
პორტუ	32	16	10	6	36:25	58
ბრაგა	32	16	9	7	43:25	57
გიმარაეში	32	14	8	10	34:27	50
ბოავიშტა	32	13	10	9	38:40	49
ბელენენსეში	32	13	6	13	38:33	45
რიუ ავე	32	9	17	6	32:33	44
მარიტიმუ	32	10	13	9	36:32	43
სეტუბალი	32	11	9	12	44:43	42
პენაფიელი	32	12	4	16	35:49	40
ნასიონალი	32	11	5	16	41:43	38
ლეირია	32	8	14	10	29:31	38
აკადემიკა	32	9	10	13	28:36	37
ჟილ ვისენტე	32	9	7	16	30:39	34
ეშტორილი	32	8	5	19	36:52	29
მორეირენსე	32	5	13	14	24:42	28
ბეირა მარი	32	6	10	16	27:53	28

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. III ტური

ტურკუ 1:0 ტპ-47

ტამპერე	2	2	0	0	6:1	6
მიუპა	2	1	1	0	5:2	4
ჰიკ	2	1	1	0	2:0	4
მარიეჰამნი	2	1	1	0	1:0	4
ჰაკა	2	1	1	0	1:0	4
ტურკუ	3	1	1	1	1:1	4
ტპ 47	3	1	0	2	3:3	3
კუოპიო	2	1	0	1	1:1	3
კტპ	2	1	0	1	1:3	3
ალიანსი	2	0	2	0	1:1	2
ინტერი	2	0	2	0	1:1	2
როვანიემი	2	0	1	1	1:2	1
იარო	2	0	0	2	0:4	0
ლაჰტი	2	0	0	2	2:7	0

იტალია

სერია B

XXXVII ტური

სალერნიტანა 1:1 ალბინოლეფე

1:0 პალადინო (34), 1:1 ჟოელსონი (44)

ჯენოა	37	17	16	4	61:36	67
ემპოლი	37	17	15	5	52:30	66
ტორინო	37	18	9	10	42:28	63
პერუჯა	37	16	11	10	49:33	59
ტრევიზო	37	17	8	12	51:42	59
ვერონა	37	14	13	10	56:43	55
პიაჩენცა	37	16	6	15	41:40	54
ასკოლი	37	14	11	12	46:48	53
მოდენა	37	15	11	11	43:33	52
ტერნანა	37	13	13	11	45:45	52
კატანია	37	12	15	10	38:38	51
ალბინოლეფე	37	13	11	13	49:44	50
ბარი	37	11	14	12	35:35	46
ვიჩენცა	37	12	9	16	56:60	45
ჩეზენა	37	11	12	14	40:52	45
სალერნიტანა	37	10	14	13	44:50	44
პესკარა	37	10	14	13	40:51	44
ტრიესტინა	37	11	10	16	38:50	43
არეცო	37	9	14	14	45:50	41
კროტონე	37	10	12	15	36:41	39
ვენეცია	37	7	11	19	29:51	32
კატანძარო	37	5	9	23	34:70	24

„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „კროტონეს" — 3 და „ბარის" — 1 ქულა

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXXII ტური

აინტრახტი 0:1 დუისბურგი

0:1 აჰანფუფი (9)

ქიოლნი	32	18	7	7	57:33	61
დუისბურგი	32	18	5	9	46:29	59
აინტრახტი	32	17	4	11	59:39	55
მიუნხენი	32	14	12	6	46:33	54
ფიურტი	32	16	5	11	48:39	53
ალემანია	32	15	6	11	57:36	51
ბურგჰაუზენი	32	14	9	9	46:46	51
აუე	32	14	5	13	46:39	47
დინამო	32	13	4	15	42:50	43
ზაარბრიუკენი	32	11	6	15	43:47	39
უნტერჰახინგი	32	12	3	17	37:43	39
კოტბუსი	32	10	9	13	33:42	39
ტრირი	32	9	11	12	36:48	38
კარლსრუე	32	9	10	13	39:44	37
ალენი	32	8	9	15	35:45	33
ესენი	32	6	15	11	34:47	33
ერფურტი	32	8	9	15	35:55	33
ობერჰაუზენი	32	7	9	16	37:61	30

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ნინათგრძნობა

ჰარის გულმა ჰარი-ჰარალე უთხრა

ევროპულ ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები მთავრდება. იმ ლიგებში, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი ტურებიღაა დარჩენილი, ინგლისში კი გუნდების დიდ ნაწილს ამ კვირას სულაც ბოლო თამაში ელით.

რატომ გაგვახსენდა ინგლისი, სადაც ჩემპიონის ვინაობა უკვე გარკვეულია და კაცმა რომ თქვას, მეორე-მესამე-მეოთხეს ამბავიც ფაქტობრივად, ცნობილია? იმიტომ, რომ მისი მაგალითით გამოვეხმაუროთ პრესისგან შედარებით მივიწყებულ, ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი გუნდების თემას.

ცხადია უსუსტესი გუნდები უძლიერესთა ბადალ ინტერესს ვერასოდეს გამოიწვევენ, მაგრამ ცხრილის ბოლოში დატრიალებულ დიდ ვნებათაღელვასაც აქვს თავისი ხიბლი. ამიტომ, „საუთჰემპტონის" თავკაცთან, ჰარი რედნაპთან ინტერვიუს გთავაზობთ

ჰარი რედნაპი

— როგორ აფასებთ „საუთჰემპტონის" შანსებს? გადარჩებით პრემიერლიგიდან გავარდნას?

— გადარჩენა ჯერ კიდევ შეგვიძლია და ამიტომ კვირას, თამაშის ბოლო წამამდე, ბურთთან ბოლო შეხებამდე სავსე ვიქნები რწმენით, რომ პრემიერლიგაში სწორედ ჩვენ დავრჩებით. ჩვენ ბოლო პერიოდში ისეთი რამ მოვახერხეთ და ისე კარგად ვითამაშეთ, რომ ჩვენი გადარჩენა სამართლიანიც იქნება. არადა, ერთი ხნის წინ პრემიერლიგა კინაღამ გამოვიტირე — „პორტსმუთთან" სტუმრად 1:4 წაგების შემდეგ ვგრძნობდი, რომ ბიჭების „ნორვიჩის" წინააღმდეგ, თან აუცილებლად გამარჯვებისთვის განწყობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, მაგრამ მოხდა ძალიან უცნაური რამ, ფეხბურთელებმა გამაკვირვეს და მოიგეს.

დიახ, „პორტსმუთის" შემდეგ ხმას ვერ ვიღებდი, ვერავის ვერაფერს ვსაყვედურობდი, ვინაიდან რომ მეჩხუბა, გამოვიდოდა, რომ მოთამაშეებს იმედის მატჩის წინ კი არ ვეხმარები, არამედ ვთრგუნავ. ჰოდა, მორიგ ვარჯიშზე ჩვეულებრივ მივედით ისე, როგორც ყოველი ტურის წინ ხდება-ხოლმე. ჩვეულებრივად ვივარჯიშეთ შემდეგ დღეებშიც, ხოლო „ნორვიჩთან" შეხვედრის დრო რომ დადგა, მივხვდი, გამარჯვება შეგვეძლო.

— მართლაც, ბოლო ორ შეხვედრაში თქვენმა ფეხბურთელებმა საოცარი ხასიათი გამოამჟღავნეს...

— დიახ, მაგრამ ისინი ვალდებულნიც იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ. „ნორვიჩთან" ან „კრისტალ პალასთან" დამარცხება პრემიერლიგასთან გამომშვიდობებას ნიშნავდა. იცით, ბოლო ტურში, „პალასთან" თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, რომ ფრე არც ჩვენ გვაძლევდა ხელს და არც მასპინძლებს. ახლაც იმავეს გეტყვით, იმ 2:2-მა ვერაფერი გვარგო, მაგრამ ანგარიშის 90-ე წუთზე გათანაბრება უთუოდ უმნიშვნელოვანესი რამ გახლდათ.

და მაინც, რთულ, სასურველისგან ძალიან დაშორებულ მდგომარეობაში ვართ. აბა, წარმოიდგინეთ, კვირას „მანჩესტერ იუნაიტედს" ვმასპინძლობთ და თან სხვათა ანგარიშებზეც ვართ დამოკიდებულნი. ერთი მხრივ, ჩვენ მანჩესტერელებს უნდა ვაჯობოთ და მეორე მხრივ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ნორვიჩი", „კრისტალ პალასი" და „ვესტ ბრომვიჩი" ცუდად დაამთავრებენ თავიანთ შეხვედრებს.

— თქვენ მხოლოდ სამი კონკურენტი დაასახელეთ...

— მართალი გითხრათ, ამ ოთხეულის გარეთ გავარდნის კანდიდატს ვერ ვხედავ. იყო ბოლო ტურებში მომენტი, როდესაც ერთიორ გუნდს თითქოს ემუქრებოდა უსიამოვნო მარაქაში გარევა, მაგრამ გულწრფელად მოგახსენებთ, იმთავითვე ვხვდებოდი, რომ დასახელებული ოთხეულის გარდა, ყველას თავი საბოლოოდ ქუდში აღმოაჩნდებოდა.

— და, ასეთ დროს ცხოვრებით კმაყოფილი ხართ?

— ანუ სამხიარულოდ თუ მაქვს საქმე? მოდით „ევერტონის" მწვრთნელს, დევიდ მოიესს მოაყოლეთ, როგორ გრძნობდა თავს, როდესაც მისი გუნდი პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა და შეადაროს ის პერიოდი ამ დღეებს, როდესაც „ევერტონი" ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილზეა. დევიდი გეტყვით, რომ გავარდნის საშიშროების წინაშე დგომა ჯოჯოხეთია და სუსტი გუნდის მწვრთნელი ყოველი მორიგი მარცხის შემდეგ შინ განადგურებული მიდის. ჩემი გამხიარულება კვირას შეიძლება, წარმატების შემთხვევაში.

— კვირას „მანჩესტერთან" შინ თამაშობთ, რაც, ალბათ, ერთი მხრივ უპირატესობაა, მაგრამ მეორე მხრივ უმძიმესი მატჩი გელით...

— ხალხი ამბობს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ერთი კვირის მერე ასოციაციის თასის ფინალს თამაშობს და ამიტომ ჩვენს წინააღმდეგ ბოლომდე ვერ დაიხარჯება, მაგრამ მერწმუნეთ, როგორც არ უნდა დაიხარჯოს იგი, ჩვენ უმძიმესი მატჩი გველის. მეორე მხრივ, მე ჩემი ბიჭებისა მწამს, რადგან მათ გადამწყვეტი მატჩი ელით და მისთვის თუ არ განეწყობიან, მაშ რაღასთვის შეძლებენ განწყობას?

— სხვა თამაშებზე რას ფიქრობთ, რა მოხდება?

— უძნელესი მატჩები იქნება. მე არ მჯერა, რომ რომელიმე მათგანში, რომელიმე მხარეს შეღავათი და დანდობა ელოდეს. „ნორვიჩმა", მაგალითად, კარგად იცის, რომ თუ „ფულემს" დაამარცხებს, ამით ყველა დანარჩენს მოგვითავებს საქმეს, მაგრამ „ფულემი" ბოლო ტურებში დიდებულ ფორმაშია და მისი ძლევა ძნელი საქმე უნდა იყოს. „პალასი" „ჩარლტონს" ხვდება და ამ წყვილში „ჩარლტონს" მასპინძლის უპირატესობა აქვს. რაც შეეხება „ნორვიჩს", იგი „პორტსმუთს" თითქოს უფრო უნდა გაუმკლავდეს, მაგრამ ბოლო ტურის ნერვიულობა ისეთი რამ არის, მისი უგულვებელყოფა არაფრით არ შეიძლება.

— ამ ოთხეულს რაიმე საერთო პრობლემა ხომ არ აქვთ?

— აქვთ და ეს პრობლემა ზედაპირზეა — პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ ოთხივე გუნდს გოლების გატანასთან ერთად, ბევრის გაშვებაც ეხერხება. მთელი სეზონის განმავლობაში ვხვდებოდი, რომ ჩვენ გამარჯვების დასაბევებლად სამოოთხი გოლის გატანა გვჭირდებოდა, რადგან ძალიან ბევრს ვუშვებდით.

— ნიძლავი რომ გიყვარდეთ, „საუთჰემპტონის" პრემიერლიგაში დარჩენაზე ფულს ჩამოხვიდოდით?

— გნებავთ წინათგრძნობა უწოდეთ, გნებავთ სხვა რამ, ვიცი, რომ „საუთჰემპტონი" პრემიერლიგაში დარჩება.

— და მაინც, გუნდი რომ გავარდეს, პოსტიდან გადადგებით?

— უამრავჯერ მიწევს ერთი და იმავეს გამეორება — მე „საუთჰემპტონთან" 18-თვიანი კონტრაქტი მაქვს და ეს კონტრაქტი ბოლომდე უნდა მივიყვანო. თუ გავვარდებით, მომდევნო სეზონშივე პრემიერლიგაში დავბრუნდებით.

იტალიური „რომას" ხელმძღვანელობამ იუვენტუსელ კოლეგებს მიჰბაძა და კლუბის წევრებს სეზონის ბოლომდე პრესასთან ურთიერთობა აუკრძალა. „ახლა ჩვენ მხოლოდ თამაშზე და მდგომარეობის გამოსწორებაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი" — თქვა რომაელთა ერთ-ერთმა მფლობელმა როზელა სენსიმ.

ინგლისური „პორტსმუთი" ისრაელის ნაკრებისა და ჰაიფას „მაკაბის" ფორვარდ იანი კატანის შეძენას აპირებს. „ჩვენ „მაკაბისთან" მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. კატანის ძალიან კარგად ვიცნობთ და თავდასხმის გაძლიერება გვინდა" — აღნიშნა ლონდონელთა მფლობელმა მილან მანდარიჩმა.

შოტლანდიური „ჰართსის" მთავარმა მწვრთნელმა ჯონ რობინსონმა კლუბი დატოვა. მან ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც შეატყობინეს, რომ მომავალი სეზონიდან მეორე მწვრთნელად დანიშვნას უპირებდნენ. ამჟამად ედინბურგელები ახალი თავკაცის ძიებაში არიან.

იტალიური „ლეჩეს" უფროსობის თქმით, ზდენეკ ზემანი მომავალ სეზონშიც გუნდში დარჩება. კლუბის სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ აღნიშნა, რომ მხარეები ახალ კონტრაქტს სეზონის ბოლოს გააფორმებენ, თუმც თავად ჩეხ სპეციალისტს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

რუმინეთის ნაკრებისა და „რომას" მცველ კრისტიან კივუს კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა — მისი შეძენა მილანის „ინტერს" გადაუწყვეტია. „ნეროაძურის" ხელმძღვანელობა დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს. კივუს გარდა კანდიდატებად სანპაულუელი დიეგო ლუგანო და ბაიერნელი სამუელ კუფური განიხილებიან.

ბერძნული „ოლიმპიაკოსის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა რივალდომ ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებისა და 2006 წლის მუნდიალზე თამაშის სურვილი გამოთქვა. „ნაკრებში დაბრუნება ძალიან მინდა. მესმის, რომ შეტევაში ბევრი ძლიერი და ახალგაზრდა მოთამაშე გვყავს, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ მაქვს. სათადარიგოთა სკამზე ჯდომაზეც კი თანახმა ვიქნები" — აღნიშნა რივალდომ.

იტალიურმა „მილანმა" კიდევ ერთ ფეხბურთელს, „ლეჩეს" სერბ ფორვარდ მირკო ვუჩინიჩს დაადგა თვალი. სერია A-ს მომავალ ტურში სწორედ ეს კლუბები ხვდებიან ერთმანეთს და „როსონერის" მესვეურები კიდევ უფრო კარგად დააკვირდებიან 21 წლის თავდამსხმელს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ვუჩინიჩის ანგარიშზე 25 მატჩში 15 გოლია.

ინგლისური „მანჩესტერი" კვლავ ახალი მეკარის ძიებაშია. „წითელ ეშმაკებს" ამჯერად პსვ-ს ბრაზილიელი კარის დარაჯი ეურელიო გომესი ამოუღიათ მიზანში. გარდა ამისა, ისინი კარლო კუდიჩინის დამატებაზეც ფიქრობენ. ვთქვათ ისიც, რომ მანჩესტერელთა უფროსობას ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება კაზინოს აშენებთ გადაუწყვეტია.

გერმანული „ჰამბურგის" სპორტულმა დირექტორმა განაცხადა, რომ გუნდი მართლაც ცდილობს რაფაელ ვან დერ ვაარტის შეძენას, მაგრამ ჯერჯერობით ამ საქმიდან არაფერი გამოდის. შეგახსენებთ, რომ 22 წლის შემტევი ნახევარმცველი სეზონის ბოლოს „აიაქსის" დატოვებას აპირებს. მისით ასევე პრემიერლიგის კლუბები არიან დაინტერესებულნი.

იტალიური „იუვენტუსის" ნახევარმცველმა მაურო კამორანეზიმ „მილანთან" მიღებული ტრავმა ვერ მოიშუშა და ექიმები ჯერ ვერ ამბობენ, შეძლებს თუ არა იგი „პარმასთან" თამაშს. სამაგიეროდ, გუნდს უბრუნდება ჯონათან ძებინა. ძირითად შემადგენლობაში თუ არა, ფრანგი სათადარიგოთა სკამზეც მაინც იქნება.

ინგლისურ „ბირმინგემს" მეჰდი ნაფტის კონტრაქტის ბოლომდე გამოსყიდვა აქვს გადაწყვეტილი და ახლოს არის მიზანთან. როგორც ამბობენ, 26 წლის ტუნისელი გუნდთან სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, ხოლო მისი ამჟამინდელი მფლობელი სანტანდერის „რასინგი" 1,5 მილიონ ევროს მიიღებს.

ესპანური „ბილბაოს" ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ ასიელ დელ ორნოს მსურველებს სეზონის დასრულებამდე მოუწევთ დაცდა. „გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ დელ ორნოს თუ შეველევით, მხოლოდ 20 მილიონ ევროდ, მაგრამ ზაფხულამდე მოლაპარაკებას არ დავიწყებთ" — თქვა ბასკთა წარმომადგენელმა. შეგახსენებთ, რომ 24 წლის მცველის შეძენა „ჩელსის" და „რეალს" სურთ.

...და ან ცაზე ვარსკვლავები

გუსტავ შებეში

დიდი სოციალისტური ფეხბურთი სხვა ასეთი აღარ ყოფილა

1953 წელს, ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართა ასეთი შეხვედრა: ინგლისი—უნგრეთი, რომელიც სტუმრების გამარჯვებით 6:3 დამთავრდა. ეს შეხვედრა იმიტომ არ გვიხსენებია, რომ ინგლისელთა შინ დამარცხების გამო თქვენი გაოცება გამოვიწვიოთ. ინგლისს, ისევე როგორც ყველა სხვა ნაკრებს, შინაც წაუგია და არა ერთხელ და ორჯერ. ეს თამაში სხვა მიზნით ვახსენეთ: მას ხშირად მეოცე საუკუნის მთავარ მატჩს უწოდებდნენ და აცხადებდნენ, რომ თანამედროვე ფეხბურთის იერი და სახე სწორედ მან განაპირობა

მაშ ასე, მოვიგონოთ ადამიანი, ვის სახელსაც მაშინდელ ამბავს უკავშირებენ — „ჯადოსნურ მადიართა“ თავკაცი გუსტავ შებეში. საბჭოურად რომ არ დავიბნეთ, აქვე განვმარტოთ: „ჯადოსნურ მადიარებს“ საფეხბურთო მსოფლიოში უწოდებდნენ იმ ნაკრებს, რომელიც სსრკ-ში რატომღაც უნგრეთის დიდი გუნდის სახელით დამკვიდრდა — აბა, როგორ, წითელ ქვეყანაში ხომ ყველაფერი სხვანაირად უნდა ყოფილიყო?! და კიდევ, იმ ბავშვების საყურადღებოდ, ვინც არ იცის, არადა, უნდა, რომ იცოდეს: მადიარი უნგრულად უნგრელს ნიშნავს. აი, როგორც ქართველი ნიშნავს ქართულად ჯორჯიელს, მაგრამ ვფიქრობთ გადავამლაშეთ, რადგან წერილი მიუძღვნა გუსტავ შებეშს და გაკენწლო მარქსისტულ ნიადაგზე ამოსული სახელმწიფო, ცოტა უხერხულია და ამიტომ...

ერთი სიტყვით, იმას მოგახსენებდით, რომ 1950-იან წლებში მსოფლიოში უნგრეთის ეროვნული გუნდი გრგვინავდა. იმ გუნდში თამაშობდნენ უდიდესი ვარსკვლავები — თუნდაც მხოლოდ ფერენც პუშკაშის და ნანდორ ჰიდეგკუტის ხსენება რად ღირს — გუნდი შემკული გახლდათ უამრავი საგანგებო თვისებით. მაგალითად, მაღალი საშემსრულებლო და იმავდროულად, არტისტული ტექნიკით, მაგრამ ყველაფერთან ერთად ჯადოქარ მადიარებს ჰქონდათ თამაშის დიდებული ორგანიზაციაც — ტაქტიკა ანუ აზრობრივი მხარე. სხვადასხვა ქვეყნის მხცოვან მიმომხილველთა მონაყოლით, ისინი ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ჭკვიანურ ფეხბურთს თამაშობდნენ და ეს გუსტავ შებეშის დამსახურება გახლდათ.

ფერენც პუშკაში: „როდესაც ვუტევდით, გადაადგილებებში ყველა მონაწილეობდა და იგივე ხდებოდა დაცვაშიც. ჩვენი თამაში შემდგომ შექმნილი ტოტალური ფეხბურთის პროტოტიპი იყო“.

და ისევ პოლიტიკა: მეწაღის ვაჟმა, გუსტავ შებეშმა თავის მოგონილ სათამაშო პრინციპს „სოციალისტური ფეხბურთი“ შეარქვა. ღმერთო ჩემო, აბა, რა უნდა რქმეოდა სისტემას, რომელიც ხალხთა, ამ შემთხვევაში ფეხბურთელთა თანასწორობას ქადაგებდა? თავად განსაჯეთ, გუნდში შებეშს აჰყავდა თანაბარი წონის ფეხბურთელები, რომლებიც მისი გეგმის შესაბამისად, ერთმანეთის საქმეზე უპრობლემოდ უნდა გადართულიყვნენ.

და იმ დღეს, „უემბლიზე“, თამაშის წინ, ძია გუშიმ თავის ბიჭებს ასე უთხრა: იცოდეთ, ინგლისელების „უემბლიზე“ დამარცხება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ლეგენდარულები გავხდებით.

და ამ სიტყვებს მწვრთნელმა მოაყოლა მგზნებარე პოლიტიკური გამოსვლა, რომლის შინაარსიც ის გახლდათ, რომ მათ, სოციალისტური უნგრეთის შვილებს, ბრიტანეთის კაპიტალისტური იმპერიის დადაქალაქში გამარჯვებით უნდა დაემტკიცებინათ... და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

აი, რას იგონებს მადიართა მაშინდელი გოლკიპერი დიულა გროშიჩი: „შებეში თავდადებული სოციალისტი გახლდათ და ამას ყოველ ნათქვამში ადასტურებდა. ნებისმიერი მნიშვნელოვანი თამაშის ან შეჯიბრების წინ, ის პოლიტიკური მოხსენებით გამოდიოდა და სპორტული ბრძოლის მაგალითზე ცდილობდა ეჩვენებინა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის მიმდინარე მსოფლიო დაპირისპირების სიმძაფრე და მნიშვნელობა“.

მაშინდელი უნგრეთის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ შებეშს იდეების ერთგულება დაუფასა და ერთი, რომ სპორტის მინისტრის მოადგილედ დანიშნა, მეორე, ნაკრების საქმეები მთლიანად და ყოველმხრივ ანდო.

„ის თამაში, „უემბლიზე“, დოღის ცხენისა და სოფლის ჯაგლაგის შეჯიბრებას ჰგავდა — იგონებს მისი ინგლისელი მონაწილე სერ ტომ ფინი — უნგრელების იმ გუნდის ბადალი ნაკრები მე მერე აღარც მინახავს, მანამდე კი ის ტაქტიკა არ მენახა, მათ იმ დღეს რომ გამოიყენეს“.

სერ სტენლი მეტიუზი, რომლის ვინაობას შეხსენება არ სჭირდება: „ასეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ მე მერე აღარ მითამაშია... უფრო სწორედ ასეთი ძლიერი გუნდი თვალით აღარ მინახავს“.

ორიოდ სიტყვით შებეშის ტაქტიკაზეც: 1953 წელს, როდესაც უნგრელები კაპიტალისტურ ინგლისს ეწვიენ, ისინი ჯერ კიდევ „არსენალის“ ლეგენდარული მწვრთნელის, 30-იანი წლების დიდი ტაქტიკოსის, ჩეპმენის დროინდელი დუბლვედ წოდებული სქემით თამაშობდნენ. თავის დროზე ჩეპმენმა ეს სქემა ოფსაიდის წესის, 1925 წლის ცვლილების გამო მოიგონა და იცოცხლეთ, ისეთ შედეგებს მიაღწია... თუ ეს თემა გაინტერესებთ, შემდეგი აბზაციც წაიკითხეთ, თუ არა და შეგიჯლიათ გამოტოვოთ, მითუფრო, რომ ჩვენ ამას ვერ გავიგებთ და არ გვეწყინება.

ჩეპმენამდე იყო საყოველთაო 2-3-5. ხუთ თავდამსხმელს შორის ორი ინსაიდი გახლდათ, რომლებიც დაახლოებით გარემარბებს და ცენტრფორვარდებს შორის მოქმედებდნენ. ჩეპმენმა ისინი უკან, ნახევარდაცვისკენ დაწია და სიღრმიდან შეტევა დაავალა, ხოლო მანამდელი ცენტრალური ნახევარმცველი, ორ ფაცელს შორის მდგარ პერად ჩააყენა — შედეგმიღებულ გაჩნდნენ განაპირა მცველები. ნ. ფ. ბეშმა ინგლისელებისთვის მოულოდნელად — აბა, მაშინ ტელევიზორი სად იყო — თავდამსხმელთა ხუთკაციან ავანგარდს ორი ინსაიდი კი არა, ერთი ცენტრფორვარდი მოაკლო და ნახევარდაცვაში დაწია, ხოლო დაცვა ნახევარდაცვიდან ორი კაცის ჩაწევით გააძლიერა ანუ გამოუვიდა 4-2-4. ასე მიიღო მსოფლიომ ის განლაგება, რომელიც ძალიან მოეწონათ ბრაზილიელებს და... მერე იყო პელე, გარინჩა, ჟაირზინიო და ძმანი მაინი.

ოღონდ... მოდით ღვაწლს მაშინდელი ბუდაპეშტის მტკ-ს თავკაცს, ბელა გუტმანსაც ნუ დავუკარგავთ, რადგან ეს 4-2-4 პირველ საერთოუნგრულ ვარიანტში სწორედ მის გუნდში დამუშავდა.

ახლა წარმატებაზეც ვთქვათ — „ჯადოსნურ მადიართა“ ყველაზე დიდი წარმატება 1950 წლის ოლიმპიური ოქრო გახლდათ. ფინალში ალი იუგოსლავიას მოუგეს. გარდა ამისა, 1990-იან წლებამდე უნგრელებს ეკუთვნოდათ დაუმარცხებელ თამაშთა ჯაჭვის რეკორდი — 31 წაუგებელი მატჩი და ამათგან 27 გამარჯვება. მაგრამ არის ცალკე ისტორია, 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისა, რომელიც ძალიან დიდი ამბებითა და ვნებათაღელვით შემორჩა ფეხბურთის ისტორიას.

ჯგუფში უნგრელებმა ჯერ კორეა დაამცრეს — 9:0, ხოლო შემდეგ გერმანია — 8:3. ამის შემდეგ დადგა მეოთხედფინალ-ნახევარფინალის დრო და უდიადესი გუნდისგან გაცამტვერების რიგი მსოფლიოს ადრინდელ ჩემპიონებს, ბრაზილიასა და ურუგვაის დაუდგათ. ანგარიში ორივეგან ერთი და იგივე გამოვიდა — 4:2. შემდეგ კი იყო ისტორიის ერთ-ერთი უდრამატულესი ფინალი, უნგრეთი — გერმანია. სწორედ ის გერმანია, რომელსაც მადიარებმა ჯგუფში 8:3 გადაურბინეს.

და ფავორიტები, სულ რაღაც რვა წუთში 2:0 დაწინაურდნენ... მაგრამ ამის მერე დაიწყო გერმანული ზღაპარი, რომელიც ციფრებით სულ რაღაც ათ წუთში, ტაბლოზე 2:2-ის დაწერასა და თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე გამარჯვების გოლის გატანაში აისახა.

შებეშმა მარცხს უიღბლობა უწოდა და, ალბათ, ასეც იყო. დავწყოთ ტრავმებით, რომელთაც უნგრელები შეჯიბრების მსვლელობისას დასუსტეს, განვაგრძოთ კოკისპირული წვიმით, რომელმაც, როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ფინალში ბურთის გაცვლებელ-გამკენწლავ მადიარებს მეტად შეუშალა ხელი, ვიდრე გერმანულებს და დავასრულოთ ფერენც პუშკაშის გოლით, რომელიც გერმანელთა კარში სფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე შეეარდა და მსაჯმაც ჩათვალა, მაგრამ თავად ვარსკვლავმა გაუჩენინა, ხელით გავიტანეო.

„ჩვენი მთავარი პრობლემა ბურთით თამაში და ფიზიკური მოქმედებანი კი არა, ნერვები იყო“ — თქვა მაშინ შებეშმა.

ოთხი წლის შემდეგ, 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ნერვები უკვე სრულიად უნგრეთს აღარ ჰქონდა — მანამდე, ორი წლით ადრე ბუდაპეშტი საბჭოთა ტანკებმა გადათელეს.

1953 წელი. ინგლისელთა და უნგრელთა კაპიტნები ბილ რაიტი და ფერენც პუშკაში ისტორიული მატჩის წინ

პაპუნა კედია

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა

11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	2	არსენალი-ევერტონი	1.5	3.6	6.8	1.05	1.22	2.35

ინგლისი. ჩემპიონატი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 მაისი						
15:15	600	ვესტ ჰემი-იფსვიჩი	2.2	3.3	2.9	1.32	1.25	1.54
		15 მაისი						
15:00	601	პრესტონი-დერბი	2.2	3.3	2.9	1.32	1.25	1.54

ინგლისი. I ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 მაისი						
22:45	602	ქუინსდი-ბრენტფორდი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
		13 მაისი						
22:45	603	ჰარტლპული-ტრანმერი	2.35	3.2	2.75	1.35	1.26	1.47

ინგლისი. II ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 მაისი						
20:15	604	ლინკოლნი-მაკლსფილდი	2.1	3.2	3.2	1.26	1.26	1.6
		15 მაისი						
20:15	605	ნორთჰემპტონი-საუთენდი	2.15	3.3	2.95	1.3	1.24	1.55

ინგლისი. კონფერენსი

14 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	606	კარლაილი-სტივენეიჯი	2.25	3.2	2.85	1.32	1.25	1.5

შოტლანდია. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 მაისი						
18:00	14	დანდი-ინვერნესი	1.95	3.3	3.3	1.22	1.22	1.64
18:00	16	ჰიბერნიანი-აბერდინი	2.05	3.1	3.2	1.23	1.24	1.57
18:00	17	კილმარნოკი-ლივინგსტონი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52
18:00	18	რეინჯერსი-მაზერველი	1.15	6.0	12.0	1.0	1.04	4.0
		15 მაისი						
17:00	15	ჰართსი-სელტიკი	7.5	4.3	1.3	2.73	1.1	1.0
18:00	19	დანდი იუნ.-დანფერმლაინი	1.9	3.2	3.55	1.19	1.23	1.68

გერმანია. I ბუნდესლიგა

14 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:30	20	ბაიერნი-ნიურნბერგი	1.35	4.3	7.0	1.02	1.13	2.66
17:30	22	ბოხუმი-შტუტგარტი	3.4	3.3	1.95	1.67	1.23	1.22
17:30	24	ჰანოვერი-ჰამბურგი	2.55	3.3	2.45	1.43	1.24	1.4
17:30	25	ჰანზა-არმინია	2.05	3.3	3.2	1.26	1.24	1.62
17:30	26	მაინცი-კაიზერსლაუტერნი	2.15	3.2	3.1	1.28	1.26	1.57
17:30	27	მიონხენგლადბახი-ჰერტა	2.95	3.1	2.25	1.51	1.27	1.3
17:30	28	შალკე-დორტმუნდი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
17:30	29	ვერდერი-ფრაიბურგი	1.2	6.0	10.0	1.0	1.07	3.75
17:30	30	ვოლფსბურგი-ლევერკუზენი	2.75	3.2	2.35	1.47	1.26	1.35

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	47	კიოლნი(მ)-ჰერტა(მ)	2.1	3.3	2.9	1.28	1.21	1.54

გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

12 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:20	52	ოფენბახი-ვეენი	1.9	3.4	3.2	1.21	1.19	1.64

ავსტრია. ბუნდესლიგა

11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	59	ადმირა-რაპიდი	5.3	3.7	1.5	2.17	1.16	1.06
21:30	61	აუსტრია-პაშინგი	1.7	3.3	4.3	1.12	1.21	1.86

შვეიცარია. სუპერლიგა

11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	76	ბაზელი-სტ.გალენი	1.25	4.6	8.5	1.0	1.08	2.98
21:30	78	შაფჰაუზენი-ციურიხი	2.45	3.2	2.5	1.38	1.23	1.4
21:30	79	თუნი-იანგ ბოიზი	1.8	3.3	3.9	1.16	1.23	1.78
21:30	80	ქსამაქსი-აარაუ	1.95	3.3	3.3	1.22	1.22	1.64

შვეიცარია. ჩელენჯლიგა

11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	83	ვინტერთური-ვადუცი	3.8	3.2	1.8	1.73	1.22	1.15
21:30	85	ლუცერნი-ლუგანო	1.85	3.2	3.6	1.17	1.22	1.69

ესპანეთი. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 მაისი						
23:45	138	ლევანტე-ბარსელონა	5.0	3.5	1.6	2.05	1.21	1.09
22:00	143	სევილია-რეალი	3.1	3.0	2.2	1.52	1.28	1.26
		15 მაისი						
21:00	136	ატლეტიკო-ბეტისი	2.4	3.0	2.9	1.33	1.31	1.47
23:00	137	ესპანიოლი-ვალენსია	2.5	3.0	2.75	1.36	1.3	1.43
19:00	140	მალიორკა-ბილბაო	2.2	3.3	3.0	1.32	1.26	1.57
19:00	141	ნუმანსია-ოსასუნა	2.6	3.2	2.55	1.43	1.28	1.41
19:00	142	რასინგი-ხეტაფე	1.75	3.6	4.2	1.17	1.23	1.93
19:00	144	სოსიედადი-მალაგა	1.9	3.3	3.8	1.2	1.26	1.76
19:00	145	ვილიარეალი-ალბასეტე	1.25	5.0	9.0	1.0	1.09	3.21
19:00	146	სარაგოსა-დეპორტივო	2.2	3.1	3.2	1.28	1.3	1.57

ბელგია. I დივიზიონი

15 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	179	ბრიუგე-ანდერლეხტი	2.05	3.2	3.3	1.24	1.26	1.62
17:00	180	ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
17:00	181	გენკი-შარლერუა	1.6	3.5	4.5	1.09	1.18	1.96
17:00	182	ვესტერლო-ბევერენი	2.1	3.3	2.95	1.28	1.22	1.55
17:00	183	ბრიუსელი-სერკლი	1.7	3.4	4.2	1.13	1.21	1.87
17:00	184	მონსი-მუსკრონი	1.95	3.2	3.5	1.21	1.25	1.67
17:00	185	სტანდარდი-გენტი	1.45	3.6	6.0	1.03	1.16	2.25
17:00	186	ლოკერენი-ლიერსი	1.7	3.4	4.5	1.13	1.23	1.93
17:00	187	ლუვიე-ოსტენდე	2.2	3.4	2.8	1.33	1.23	1.53

რუსეთი

14 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	236	დინამო-ამკარი	1.7	3.3	4.5	1.12	1.23	1.9
15:00	237	ლოკომოტივი-როსტოვი	1.25	4.5	9.0	1.0	1.09	3.0

სლოვაკეთი

11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	261	ჟილინა-ბ.ბისტრიცა	1.65	3.4	4.3	1.11	1.19	1.89
19:30	262	ტრნავა-პეტრჟალკა	2.45	3.0	2.55	1.34	1.24	1.37

ნორვეგია. ტიპელიგა

16 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	297	ბრანი-ლილესტრიომი	1.95	3.3	3.5	1.22	1.25	1.69
20:00	298	ჰამარი-სტარტი	2.2	3.4	2.85	1.33	1.24	1.55
20:00	299	მოლდე-ალესუნდი	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1:62
20:00	300	ოდ გრენლანდი-ლინი	2.35	3.3	2.7	1.37	1.25	1.48
20:00	301	რუსენბორგი-ვიკინგი	1.5	4.0	5.3	1.09	1.16	2.27
20:00	302	ტრომსიო-ბოდიო გლიმტი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
22:15	303	ვოლერენგა-ფრედრიკსტადი	1.5	3.9	5.5	1.08	1.17	2.28

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერლიგა						
		11 მაისი						
21:05	323	ბრომაპოიკარნა-აიკ	3.3	3.2	1.95	1.62	1.22	1.21
		ფინეთი						
		12 მაისი						
19:00	330	ინტერი-მარიეჰამნი	1.8	3.3	3.7	1.16	1.21	1.74
20:00	331	ჰაკა-მიუპა	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57
20:00	332	იარო-ალიანსი	3.0	3.2	2.1	1.54	1.23	1.26
20:00	333	კტპ-ტამპერე	3.0	3.2	2.1	1.54	1.23	1.26
20:00	334	კუოპიო-ჰიკ	2.95	3.2	2.15	1.53	1.24	1.28
20:00	335	ლაჰტი-როვანიემი	1.5	3.6	5.8	1.05	1.19	2.22
		მექსიკა						
		11 მაისი						
23:45	607	ტიგრესი-მორელია	2.15	3.2	2.9	1.28	1.23	1.52
23:45	608	მონტერეი-კრუს ასული	2.2	3.2	2.85	1.3	1.24	1.5
		12 მაისი						
23:45	609	სანტოსი-ამერიკა	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
23:45	610	ნეკახა-ტეკოსი	1.7	3.4	4.4	1.13	1.22	1.91
		ურუგვაი						
		11 მაისი						
22:30	615	სერიტო-რამპლა	1.5	3.8	5.3	1.07	1.16	2.21
22:30	616	სერო-ლივერპული	6.0	3.7	1.45	2.28	1.16	1.04
22:30	617	კოლონია-მირამარი	2.35	3.3	2.5	1.37	1.21	1.42
22:30	618	ფენიქსი-პაისანდუ	1.4	3.8	6.5	1.02	1.15	2.39
22:30	619	რენტისტასი-დეფენსორი	3.3	3.2	1.95	1.62	1.22	1.21
22:30	620	როხა-ტაკუარემბო	1.6	3.5	4.8	1.09	1.2	2.02
23:00	621	უონდერერსი-ნასიონალი	5.5	3.7	1.5	2.21	1.17	1.06
23:45	622	პენიაროლი-პლასა	1.25	5.0	8.5	1.0	1.08	3.14
		იტალია. თასი						
		11 მაისი						
23:00	405	რომა-უდინეზე	2.1	3.1	3.2	1.25	1.26	1.57
		12 მაისი						
23:00	406	კალიარი-ინტერი	3.2	3.0	2.1	1.54	1.26	1.23
		ესპანეთი. თასი						
		11 მაისი						
23:00	407	ბილბაო-ბეტისი	2.0	3.2	3.4	1.23	1.25	1.64
		12 მაისი						
23:00	408	ატლეტიკო-ოსასუნა	1.7	3.4	4.5	1.13	1.23	1.93
		საფრანგეთი. თასი						
		11 მაისი						
19:00	410	მონაკო-სედანი	1.4	3.8	8.0	1.02	1.19	2.57
		ბელგია. თასი						
		11 მაისი						
22:30	412	ბეერსხოტი-ლოკერენი	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1.62
		თურქეთი. თასი						
		11 მაისი						
22:00	413	გალათასარაი-ფენერბაჰჩე	2.6	3.2	2.5	1.43	1.27	1.4

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		პოლონეთი. თასი						
		11 მაისი						
22:00	414	პოგონი-ვისლა	3.8	3.2	1.8	1.73	1.22	1.15
20:00	415	პლოცკი-ზაგლებე	1.75	3.2	4.0	1.13	1.21	1.77
		ჩეხეთი. თასი						
		11 მაისი						
20:00	417	ლიბერეცი-სლოვაცკო	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83
		12 მაისი						
20:00	418	პლზენი-ბანიკი	3.8	3.2	1.8	1.73	1.22	1.15
		ხორვატია. თასი						
		11 მაისი						
22:45	622	რიეკა-ჰაიდუკი	2.3	3.1	2.7	1.32	1.24	1.44
		როიალ ლიგა						
		12 მაისი						
22:35	421	მალმიო-რუსენბორგი	2.6	3.4	2.2	1.47	1.19	1.33
22:35	422	ბრანი-გიოტებორგი	2.0	3.4	3.0	1.25	1.2	1.59
		ლიბერტადორესის თასი						
		11 მაისი						
23:45	425	უნივერსიტარია-დანუბიო	1.45	3.7	5.8	1.04	1.15	2.25
23:45	426	სანტოსი-ბოლივარი	1.15	5.5	12.0	1.0	1.04	3.77
23:45	430	სან პაულუ-სტრონგესტი	1.15	5.5	12.0	1.0	1.04	3.77
		12 მაისი						
23:45	427	პალმეირასი-სერო	1.5	3.6	5.5	1.05	1.17	2.17
23:45	429	სტ ანდრე-ტახირა	1.2	5.3	9.0	1.0	1.05	3.33
		კალათბურთი. იტალია						
		11 მაისი						
22:30	550	ბენეტონი-ნაპოლი	1.15	12.0	4.5	1.04	1.0	3.27
22:30	551	მილანი-კანტუ	1.4	12.0	2.6	1.25	1.0	2.13
22:30	552	სიენა-რომა	1.25	12.0	3.0	1.13	1.0	2.4
		12 მაისი						
22:15	553	ბოლონია-როზეტო	1.1	12.0	5.0	1.0	1.0	3.52
		კალათბურთი ესპანეთი						
		11 მაისი						
23:30	451	ტენერიფე-ბილბაო	1.35	12.0	2.85	1.21	1.0	2.3
22:45	452	ვალიადოლიდი-ალიკანტე	2.3	12.0	1.5	1.93	1.0	1.33
22:45	453	ბრეოგანი-ხირონა	1.35	12.0	2.85	1.21	1.0	2.3
23:00	454	გრანადა-უნიკახა	2.85	12.0	1.35	2.3	1.0	1.21
23:30	455	აუნაკბლე-ბარსელონა	2.15	12.0	1.65	1.82	1.0	1.45
22:30	456	ქალსტაქსან ფრანგლ	1.25	12.0	3.1	1.13	1.0	2.46
		12 მაისი						
22:30	457	მანრესა-ვალენსია	1.75	12.0	1.9	1.52	1.0	1.64
22:30	458	ტაუ-ლეიდა	1.05	12.0	7.0	1.0	1.0	4.42
		კალათბურთი საბერძნეთი						
		11 მაისი						
20:00	469	აპოლონი-ოლიმპიაკოსი	1.65	12.0	2.0	1.45	1.0	1.71
20:00	470	არისი-ირაკლისი	1.4	12.0	2.5	1.25	1.0	2.06
20:00	471	აეკ-პაოკ	1.2	12.0	3.5	1.09	1.0	2.7

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესული ფარგულად ჩაითვლება)

14002	არსენალი-ევერტონი	1.3	2.5

შრეს ბარეშე (ძირ. დრო)

16002	არსენალი-ევერტონი	1.15	3.9

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15002	არსენალი-ევერტონი	3.0	2.8	2.0

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17002	არსენალი-ევერტონი	1.85	1.95

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13002	არსენალი-ევერტონი	1.7	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12002	არსენალი-ევერტონი	1.7	1.9

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10002	არსენალი-ევერტონი	1.8	2.3	5.5	1.0	1.35	1.62

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11002	არსენალი-ევერტონი	1.9	15.0	30.0	3.5	5.0	10.0	20.0	10.0	10.0

ლოუთ თუქირის ლაღად ბურთაობა მოენატრა



დიდი კაცია ავსტრალიაში ლოუთ თუქირი. „ვოლაბთა“ ნაკრებშიც ადგილი დაუმკვიდრებია და საკლუბო დონეზეც ხომ საარაკოდ აქვს საქმეები. მისი „ვარატასი“ ზეთორმეტის გათამაშებაში ლიდერია და წლეულს ტურნირის მთავარ ფავორიტადაც მოიაზრება.

ვარსკვლავია ლოუთ თუქირი, თუმც მხოლოდ ორი წელია, რაც რაგბის კავშირის წესებით თამაშობს. ადრე ლიგის რაგბის „უბერავდა“ და ცამეტკაცადან თხუთმეტკაცაში 2003 წლიდან გადაბარგდა.

ყველაფრით კმაყოფილია თუ არა „ვოლაბთა“ ნაკრების წევრი დღეს? როგორც ჩანს, არა. თუქირი თხუთმეტკაცა რაგბის შეტევითი შესაძლებლობების ნაკლებობას უწუნებს.

„ბრისბეინ ბრონკო“ — არის ასეთი კლუბი, რომელიც ცამეტკაცა რაგბის ჩემპიონატში თამაშობს. მისი მწვრთნელი უეინ ბენეტია. ლოუთი ამ კლუბში თამაშობდა და ბენეტიც ძალზე განიცდის უმისობას.

„საცოდაობაა, როდესაც თუქირი ან იგივე ვენდელ სეილორი თამაშისას „უბურთობას“ განიცდიან და მთელ თავიანთ შეტევით პოტენციალს ვერ ავლენენ მინდორზე“ — აცხადებს ბენეტი.

ახლა კი თვით თუქირისაც მოვუსმინოთ:

„მესმის ბენეტის. დარწმუნებული ვარ, რომ მას გვარიანად უჭირს გააცნობიეროს, რომ ის ჩემი აწ უკვე ყოფილი მწვრთნელია. მე ვერაფერს ვერ შევცვლი. შეტევაში ჩართვის რამდენი შესაძლებლობაც მაქვს, იმით უნდა დავკმაყოფილდე, მაგრამ „ტეხავს“, როდესაც ხედავ, ზოგიერთი გუნდის მორაგბენი როგორ ანაწილებენ ბურთს. რას იზამ, ასეთია ამ თამაშის არსი. თხუთმეტკაცაში მოედანზე უფრო მჭიდრო ბრძოლა მიდის. შეგუებული ვარ, როდესაც ბურთი მიჭირავს, მე მას რამე უნდა მოვუხერხო, რათა თავიდან ავიცილო მისი მოშორების აუცილებლობა ან პოზიციის დაკარგვა“.

როგორ ჯობია რაგბის თამაში, ლიგურად თუ კავშირის წესებით, ამაზე ვერ გიპასუხებთ. ფაქტია, ცამეტკაცაში ბურთაობა უფრო ლაღია, მორაგბენიც მეტ დროს ატარებენ ბურთით ხელში. სივრცეც მეტია და დრიბლინგიც უფრო ადვილია. სამაგივროდ, თხუთმეტკაცას თავისი პლუსები აქვს. დაბალი თამაში პოზიციური ორთაბრძოლები და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, გემოვნების ამბავია. ზოგს ასე მოსწონს, ზოგს ისე. უბრალოდ, ჩვენ ერთ-ერთი მორაგბის მოსაზრება მოგახსენეთ, რომელსაც რაგბი ორივენაირად უთამაშია.

ლადო ფულუკიძე

გემრიელი ლუკმა ტერორისტებისთვის

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი თანხის რაოდენობამ სარეკორდო ნიშნულს ათეწში მიაღწია. ელინებმა კოლოსალური სამუშაო ჩაატარეს სპორტსმენების, ჟურნალისტებისა თუ დედაქალაქის სტუმართა დასაცავად, თუმცა ამ მხრივ ბერძნებს ალბათ ჩინელები აჯობებენ. იქაური კომპარტიის ლიდერი ცან ვეი აცხადებს, ოლიმპიური თამაშები ყოველთვის გემრიელი ლუკმაა ტერორისტებისთვის, რადგან მრავალი გამოჩენილი სპორტსმენი და ჩინოვნიკი სტუმრობს, ამიტომ სხვა ქვეყნებსაც მოვუწოდებთ დახმარება გაგვიწიონო.

მაოს საქმის გამგრძელებელმა ისიც დასძინა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან გვსურს თანამშრომლობა, რომლებსაც თამაშების ჩატარების გამოცდილება გააჩნიათო.

ვიქტორ სანიკიძე

სან ანტონიოს წყალი არ გაუშვა

სანიკიძეს დიჟონთან საქმე აქვს

სეზონი დასასრულს მიუახლოვდა და ლეგიონერთა უმეტესობა სატრანსფერო გარიგებებშია, ანაც თავის კლუბთან კონტრაქტის განახლებას ცდილობს. ფრანგული „დიჟონის“ 19 წლის ფორვარდ ვიქტორ სანიკიძეს გუნდთან ხელშეკრულება მართალია არ უმთავრდება, მაგრამ ხელმძღვანელობასთან მაინც აპირებს დალაპარაკებას, რაკი არაერთი მიწვევა აქვს ფრანგული და სხვა ევროპული კლუბებიდან. ახლა „დიჟონს“ ერთი მატჩი დარჩა საფრანგეთის ჩემპიონატში და, სავარაუდოდ, იგი პლეი ოფში ვერ გავა, თუმც ამას ვიქტორისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს — როცა „დიჟონისთვის“ სეზონი დასრულდება, კლუბის უფროსობასთან მაშინ დაიწყებს მოლაპარაკებას თავისი აგენტ რიდ სალივანის დახმარებით. გუშინ სანიკიძეს საფრანგეთში შევეხმიანეთ და თავდაპირველად ჩემპიონატის ამბები გამოვკითხეთ...

— მომავალ შაბათს რეგულარული ჩემპიონატი სრულდება და „დიჟონის“ ბედიც ბოლო ტურში გადაწყდება. ჩვენ სტუმრად „ლე ავრს“ ვეთამაშებით, მაგრამ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად არ ვართ. რომც მოვიგოთ, თუ კონკურენტმა „ბურგმა“ „ტულონთან“ არ წააგო, პლეი ოფში ვერ გავალთ. „ტულონი“ მე-11 ადგილზეა მყარად, პლეი ოფი განაღდებული აქვს და ეგება თავი არ შეიწუხოს. ასეთ შემთხვევაში პლეი ოფში გამსვლელ ბოლო, მე-12 ადგილს ტულონელები ირგუნებენ.

— შენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს პლეი ოფში გასვლას?

— რა თქმა უნდა, მინდა პლეი ოფში თამაში, მაგრამ პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. პირიქით, რაც უფრო ადრე დასრულდება ჩემპიონატი „დიჟონისთვის“, კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გარკვევას მალე მოვახერხებ და ახალგაზრდულ ნაკრებში წამოვალ.

— რაშია საქმე, შენ ხომ „დიჟონთან“ მოქმედი, 3-წლიანი კონტრაქტი გაკავშირებს...

— მართალია, შარშან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის, სხვა გუნდში გადავიდე, თუ მოლაპარაკებას სწორი მიმართულებით წარვმართავთ. ჩემმა აგენტმა რიდ სალივანმა, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა ევროლიგის ოთხთა ფინალზე, მითხრა, ჩამოვალ და „დიჟონის“ ხელმძღვანელობას დაველაპარაკები შენს შესახებო.

— ესე იგი, მიზეზით აქვს, რომ ელაპარაკოს...

— როგორც ვიცი, რამდენიმე კლუბია ჩემით დაინტერესებული და თუ შეთანხმება მოხდა, „დიჟონთან“ კონტრაქტს ჩემი მსურველი გუნდი გამოისყიდის.

— რა ვარიანტები გაქვს?

— არიან როგორც ფრანგული, ისე სხვა ევროპული გუნდებიც. სახელების გახმაურება ჯერ არ მინდა. თუ უკეთეს კონტრაქტს შემომთავაზებენ, რა თქმა უნდა, გადავალ. ვნახოთ, ჯერ სეზონი დამთავრდეს. 15 ივნისამდე თუ არ წამოვიწყე მოლაპარაკება, მერე უფლება აღარ მექნება.

— შენზე უფლებებს „სან ანტონიო“ ფლობს, რომელმაც შარშან დრაფტზე აგიყვანა და ალბათ ამერიკელებიც საქმის ვითარებას იცნობენ...

— რა თქმა უნდა. ჩემს მენეჯერს სისტემატიური კავშირი აქვს „სან ანტონიოსთან“ და ამ გუნდის თანხმობის გარეშე არაფერს არ გააკეთებს.

— ამერიკაში წასვლასაც ხომ გეგმავდი?

— სან ანტონიოში ყველა ვარიანტში წავალ, ვიზა უკვე ჩამომივიდა და მის ასაღებად ამ დღეებში პარიზში მივდივარ. ამ ზაფხულს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, როდის, „სან ანტონიო“ საზაფხულო ლიგას, ან კემპს მასპინძლობს. ლიგის მოწყობასთან დაკავშირებით რაღაცა პრობლემები აქვთ და თუ ვერ შეძლებენ, გუნდის ახალწვეულების და დრაფტზე ასარჩევთა კემპს მოაწყობენ. ერთი სიტყვით, მე ყველა ვარიანტში წავალ სან ანტონიოში.

— ახალგაზრდულ ნაკრებს ივლისში საკვალიფიკაციო მატჩები ელის ბულგარეთში და შენი იმედი არ უნდა გვქონდეს?

— როგორ არა. წინასწარი გათვლებით, ამერიკელები კემპის გამართვას ამ ბულგარული ტურნირის შემდეგ აპირებენ. ჩემი აზრით, ხელი არ შემშლება და ნაკრებს ბულგარეთში გავყვები.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

მშვენიერო, ჩემო გუნდო!

ფინიქსის მზემაც გამოანათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 9 მაისი —

აღმოსავლეთი

დეტროიტი 1:0 ინდიანა

დეტროიტი 96:81 ინდიანა

დეტროიტი: ბილაფსი (11), ჰამილტონი (28), პრინსი (8), რ. ვოლესი (11), ბ. ვოლესი (21 ქულა, 14 მოხსნა, 4 ჩაჭრა); ჰანტერი (8), მაკდაიესი (5), აროიო (4), კემპბელი, დიუპრე, მილიჩიჩი

ინდიანა: ტინსლი (13), მილერი (6), ჯექსონი (15), ონილი (22), დევისი (2); ფოსტერი (7 ქულა, 13 მოხსნა), გილი (7), ჯონსონი (4), ფ. ჯონსი (1), კროშერი (4), ჯ. ჯონსი, პოლარდი



დეტროიტელი რაშიდ ვოლესი
ინდიანელ ჯერმენ ონილს უფარებს



სტივ ნეში დალასელთა რიგებში თარეშობს

დეტროიტელებს და ინდიანელებს საკმარისზე მეტი მიზეზი აქვთ, ერთმანეთი სძულდეთ. ინდიანელები ამ სიძულვილმა ლამის დალუპა, თუმც ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. დეტროიტელ ბენ ვოლესს აღარ უჩხუბია ინდიანელებთან და ტრიბუნებიდანაც არ წამოსულა ლუდის ქილების და ხურდების წვიმა. უბრალოდ, „დეტროიტმა“ თამაშით აჯობა „ინდიანას“ და ამ ორი გადამტერებული გუნდის სამეორეწრეო სერიაც ასე დაიწყო.

მატჩს გმირი არ ჰყავს, რაკი აქ არ ყოფილა ბოლო წამებზე ჩაგდებული ბურთები. მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში მეთოდურად თრგუნავდნენ (სპორტული გაგებით) სტუმრებს და პირველი გამარჯვებაც 15-ქულიანი ჩაიწერეს. რაც შეეხება საუკეთესო მოთამაშეს, „პისტონს“ იმდენად გაწონასწორებული ხუთეული ჰყავს, ყოველთვის ჭირს მათგან საუკეთესოს ამორჩევა. თუმც მაინც ამოვარჩიოთ — ბენ ვოლესი, ცენტრის კვალობაზე დაბალი, მხოლოდ 206 სანტიმეტრი, მაგრამ ეგვიპტური პირამიდის ქვასავით მძიმე და ადგილიდან დაუძრავი ქვაკაცი.

2001-03 წლებში „დეტროიტს“ რიკ კარლაილი რომ წვრთნიდა, ბენ ვოლესი დაცვაში თამაშზე იყო გადაგებული და იშვიათად ეძალებოდა მეტოქის კალათს. მერე, კარლაილი რომ გაუშვეს (იგი სწორედ „ინდიანამ“ შეიკედლა) და მისი ადგილი ლარი ბრაუნს მოუთავისუფლეს, ბენჯამინმა ქულების გროვებას მიჰყო ხელი და წინა სეზონში საშუალო მონაგარი კარიერაში სარეკორდო 9,5 ქულამდე აწია, ხოლო წლეულს 9,7 ქულამდეც ავიდა. ახლა ვოლესმა „ინდიანას“ 21 ქულა ჩაუგდო და ეს უკვე აღარავის უკვირს. ეს არც იმას ნიშნავს, რომ მან საკუთარი ფარქვეშეთის დაცვაზე ხელი აიღო. წლეულს ის მესამედ დაასახელეს სეზონის საუკეთესო დამცველად და ახლაც მან ამ 21 ქულასთან ერთად 15 მოხსნა და 4 ჩაჭრაც გაახერხა, ოღონდ ისიც სათქმელია, 15 საჯარიმოდან 10 გაიფუჭა.

რიგიანად გაისარჯა „პისტონზის“ მთავარმექულე რიპ ჰამილტონიც, რომელმაც თავის წილად 28 ქულა გაშანსა და თანაც „ინდიანას“ ბებერი მექულე რეჯი მილერი მხოლოდ ექვსს დააჯერა.

დასავლეთი

ფინიქსი 1:0 დალასი

ფინიქსი 127:102 დალასი

ფინიქსი: ნეში (11 ქულა, 13 პასი), ჯონსონი (25), რიჩარდსონი (12), მარიონი (23 ქულა, 11 მოხსნა), სტუდემაიერი (40 ქულა, 16 მოხსნა); ბარბოსა (7), ჰანტერი (6), მაკკარტი (3), ჯექსონი, აუთლოო

დალასი: ტერი (13), ფინლი (13), ჰოვარდი (12), ნოვიცკი (28 ქულა, 13 მოხსნა), დამპრე; სტეკჰაუზენი (14), დანიელსი (13), ჰარისი (3), ჰენდერსონი (2), ბრედლი (2), არმსტრონგი (2)

სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარებულ სტივ ნეშს არავინ გაკიცხავს მხოლოდ 11 ქულის ჩაგდებისთვის. ყველამ იცის, რომ კანადელი გამთამაშებლისთვის მეტოქის კალათზე უკეთესი სამიზნე თანაგუნდელები არიან და მისი საქმე პასების კეთება და კომბინაციების ბლანდვაა. ახლაც ნეშმა თავის ყოფილ გუნდ „დალასთან“ პირველ ჯახში 13 პასი გააკეთა და მათი უმრავლესობა „ფინიქსის“ ყმაწვილ ცენტრ ამარე სტუდემაიერს მისცა. ამარემაც ყარა და ყარა და შეხვედრა რომ დამთავრდა, საპლეიოფო კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 40 მოუგროვდა. ასევე სარეკორდოა 16 მოხსნაც. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ნეშმა, სტუდემაიერმა და ძმანმა მათმა შანსი არ დაუტოვეს „დალასს“ და ისე უდრტვინველად მოუგეს, ძნელი სათქმელია, დალასელებმა ასეთ თამაშს რა უნდა დაუპირისპირონ. ბიჭი ხარ და გააჩერე ეს გადარეულები. კიდევ უარესი გამოვა, თუ ვინმე გაბედავს და გადარბენა-გადმორბენებში აჰყვება „სანზს“. ასეთი თამაში, როგორც წესი, მეორე გუნდის განადგურებით მთავრდება.

„ფინიქსმა“ 127 ქულა ჩაუგდო „დალასს“ და 15 ქულით შემუსრა. არადა, ტეხასელები არავისთვის არ არიან ხელწამოსაკრავები და ამ თამაშამდე ისე ჩანდა, არც „ფინიქსისთვის“ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ...

„ეს ჩვენი თამაშია — ამბობს ერთ-ერთი ფინიქსელი კვენტინ რიჩარდსონი — ვაკეთებთ იმას, რასაც მთელი სეზონი ვაკეთებდით და მანამდე ვაპირებთ ამის კეთებას, ვიდრე ვინმე არ გაგვაჩერებს.“

ვინ უნდა გააჩეროს? მოახერხებს რამეს „დალასი“? თანაც „სანზი“ ამ შეხვედრაში დაცვაშიც საიმედოდ საქმიანობდა.

„ეს არ იყო დიდებული დაცვა, მაგრამ არა უშავდა“ — ამბობს გამარჯვებულთა იტალიელ-ამერიკელი თავკაცი მაიკ დანტონი. დანტონისთვის ჯერ ოფიციალურად არ გადაუციათ სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული, მაგრამ კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, სწორედ ის დასახელდა კოლეგებს შორის საუკეთესოდ.

ამის თაობაზე დანტონის კომენტარი დაახლოებით ისეთია, როგორიც მან ნეშის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებისას გააკეთა — „ოხ, ეს პირადული ტიტულები. ვიღაცამ ხომ უნდა მიიღოს ისინი! მგონი, ეს პრიზები საზოგადოებას უფრო სჭირდება, ვიდრე მათ პატრონებს. მე კვლავ და კვლავ იმას ვიტყვი, რომ კალათბურთი გუნდური თამაშია და... ჩვენი გუნდი მართლაც მშვენიერია.“

კოტე ყორშია

ფილ ჯექსონი — ორმოდან ამომყვანი

დიდი მწვრთნელის უქმობას ბოლო ეღება



ამ გაგანია პლეი ოფში რა დროს ვერმეპლეიოფე გუნდების გეგმებზე და მომავალზეა ლაპარაკიო, იქნებ იფიქროთ, მაგრამ ეს ისეთ კაცს ეხება, არ იქნება, ორაბზაციანი ყურადღება არ დავუთმოთ.

მომავალი სეზონიდან იქნებ რომელიმე გუნდის თავში კვლავ ვიხილოთ დიდი მწვრთნელი ფილ ჯექსონი, რომელიც შარშან ზაფხულიდან წამოვიდა „ლეიკერსიდან“ და მთელ წელიწადს უქმობდა. ვინ იცის, ბენ მასტერად სახელდებული ფილი ნებალის ან ტიბეტის მთებში დაეხეტებოდა ბუდისტური ჭეშმარიტებების შესაცნობად. ჯექსონი ერთხელ უკვე ყოფილა მსგავს ვითარებაში — 1998 წელს, „ჩიკაგო ბულზიდან“ რომ წავიდა, „ლეიკერსში“ მისვლამდე მთელ წელიწადს ტკბებოდა თავისუფლების სუფთა ჰაერით. ამ შემოდგომიდან კი, ახალი სეზონი რომ დაიწყება, ის ეგებ „ნიუ იორკ ნიქსის“ ან, არც ესაა გამორიცხული, ისევ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ თავკაცად დაბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, ნიქსის“ პრეზიდენტ აიზია ტომასს ერთხელ უკვე ჰქონდა მასთან საუბარი და ნბა-ს ყველაზე წარმატებული მწვრთნელის გადაბირების იმედით ხვდება ზაფხულს. თუმცა რაკი ჯექსონისგან საბოლოო პასუხი ჯერ არ მიულია, ტომასი სხვა სპეციალისტებსაც უკავშირდება, მაგალითად, „მინესოტადან“ წლეულს გაშვებულ ფილიპ სანდერსს და სანანტონიელი გრეგ პოპოვიჩის ასისტენტ ფიჯეი კარლესიმოს.

„ჩვენ არაერთი სპეციალისტი მოვინიშნეთ, მაგრამ, ცხადია, ყველას ჯექსონი გვირჩევნია. ცუდები არც სხვები არიან, თუმც ჯექსონი მაინც საუკეთესოა. ვიცი, რასაც ვამბობ. მეც კარგი მოთამაშე ვიყავი თავის დროზე, მაგრამ მაიკლ ჯორდანისთანა არავინ იყო. ის ცოტათი ყველას გვჯობდა. დღესდღეობით ფილის გვერდზე მხოლოდ ლარი ბრაუნს თუ დაუყენებ“.

ფილ ჯექსონი ოდესღაც თამაშობდა კიდეც „ნიუ იორკში“, 1973 წელს ამ გუნდის მაისურით ჩემპიონიც გახდა და უხეირო გუნდების რიგებიდან ვერგამოსულ „ნიქსში“ მას იქნებ მესიასავით დახვდნენ.

დიდი ფილის გადაბირება „ლეიკერსის“ მფლობელ ჯერი ბასსაც გვარიანად სწადია — „წლეულს ჩვენ ვერ მოვხვდით პლეი ოფში, ამიტომ „ლეიკერსის“ მომავალ თავკაცს, ვინც უნდა იყოს, ჭუჭყიანი საქმის კეთება მოუწევს. დარწმუნებული ვარ, ამ ორმოდან ჯექსონზე უკეთ ვერავინ ამოგვიყვანს“.

კოტე ყორშია



ციმბირული ამულეტები ველარ ჭრის

ბოლო წლებში რუსებმა ჩოგბურთში გვარიან წარმატებებს კი მიაღწიეს, მაგრამ მათი დიდების შემოქმედნი უმეტესწილად ქალმეჩოგნეები არიან. კაცთა შორის უშამანესი კი რუსებს მარატ საფინი ჰყავთ. ამულეტ-ჯინჯილებით შეიარაღებული საფინი ერთხანს მართლაც მარჯვედ იქნევდა ჩოგანს და გეხსომებათ, ავსტრალიის ღია პირველობაზეც რომ იზეიმა, თუმცა მას შემდეგ რუსს საქმე წაუხდა და ძველებურად ველარ ჩაუქობს.

ახლახან დასრულებულ რომის მასტერსზე მარატს ადრევე მოუწია ტურნირის დასრულება. ამას გარდა, მის გამო რუსთა ნაკრებმა კაცთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც 15-21 მაისს გერმანულ დიუსელდორფში ჩატარდება, ადგილი დაკარგა.

რუსი ჟურნალისტები მარატზე ნაწყენი ჩანან და ჩრდილოურ საიტებზე მისი გაკრიტიკებაც დაიწყეს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 60 წლისთავზე გერმანიაში რუსის ჭაჭანება რომ არ იქნება.

საფინს დაუთვალეს და გამოვიდა, რომ ავსტრალიური ზეობის შემდეგ მან ATP-ს ტურნირებზე ჩატარებული 11 შეხვედრიდან 6 წააგო და მეთექვსმეტედფინალს ერთხელაც ვერ გასცდა.

დიუსელდორფის ტურნირზე რუსები ათჯერ გამოსულან, აქედან სამჯერ ფინალშიც უქნევიათ ჩოგანი, მაგრამ გამარჯვებისათვის არ მიუღწევიათ. ჩემპიონატში მონაწილეობისათვის საჭიროა, ქვეყნის ორი წამყვანი ჩოგბურთელის რეიტინგი გარკვეულ დონეს აკმაყოფილებდეს. რუსეთმა კრიტერიუმი კი დააკმაყოფილა, მაგრამ საფინს განაცხადი არ შეუტანია და სლავთა ნაცვლად დიუსელდორფში ფრანგები დაუშვეს.

თავად ჩოგბურთელი ალალად აღიარებს, ჩემი უსუსური შედეგები მხოლოდ ჩემი ბრალია, აშკარად ცუდად ვთამაშობ და თუ დონე არ ავიმაღლე, შემდგომ წარმატებაზე ფიქრი ზედმეტიაო. ის კი აღარ დაუკონკრეტებია, ფორმის დაკარგვა რას შეიძლება მიეწეროს. უბრალოდ, შეიძლება მისი ციმბირული ამულეტები აღარ ჭრის.

ლადო ფულუკიძე

მ-ტელ მასტერსის ტურნირი

ბულგარეთი. სოფია. 11 - 12 მაისი

ყველაზე კარგი ბულგარელი ტოპალოვი

დღეს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მსოფლიოში უძლიერესი „მ-ტელ მასტერსის“ ტურნირი იწყება. იგი ადგილობრივი ფიჭური კომპანიის „მობილტელის“ 10-წლიან იუბილესთანაა დაკავშირებული და მასში მსოფლიოს ექვსი წამყვანი დიდოსტატი ითამაშებს. ესენი არიან: ინდოელი ვიშვანათან ანანდი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, უნგრელი იუდიტ პოლგარი, უკრაინელი რუსლან პონომარიოვი, ინგლისელი მაიკლ ადამსი და რუსი ვლადიმერ კრამნიკი.

სერგეი დანაილოვი — ტურნირის მთავარი ორგანიზატორი და ტოპალოვის მენეჯერი

ტურნირის მთავარ ორგანიზატორ სერგეი დანაილოვს თავიდან სათამაშოდ პლანეტის ნომერ პირველი მოჭადრაკე გარი კასპაროვი და უნგრელი პეტერ ლეკოც ჰყავდა მიწვეული, თუმც კასპაროვმა ახლახან კარიერა დაასრულა, ხოლო ლეკომ გადაღლილობის გამო უარი თქვა ტურნირში გამოსვლაზე.

აღსანიშნავია, ორივე დიდოსტატს სოფიის ტურნირში რომ ეთამაშათ, იგი მსოფლიოში ყველაზე მაღალრეიტინგული, სავარაუდოდ, 22-ე კატეგორიის იქნებოდა. შეგახსენებთ, რომ მსგავსი ტურნირი 1996 წელს ჩატარდა ლას-პალმასში და ახლა რეკორდის გამეორებას სწორედ ამ ორი მოჭადრაკის უარმა შეუშალა ხელი.

მოჭადრაკეები ორ წრედ ითამაშებენ, ყველა პარტია კი თავისებური რეგლამენტით წარიმართება და მკაცრი წესები ექნებათ. თამაშის დროს მოწინააღმდეგეებს ერთმანეთთან კონტაქტი აეკრძალებათ, ხოლო ყაიმი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაფიქსირდება თუ მეტოქეები სვლებს სამჯერ გაიმეორებენ, მუდმივ ქიშებს გაითამაშებენ ან თუ თეორიულად სხვა საშუალება აღარ დარჩებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრი მათ პარტიის გაგრძელებას მოსთხოვს.

ტურნირის ფავორიტი ფიდეს რეიტინგის მეორე ნომერი ვიშვანათან ანანდია.

დიდი ჭადრაკიდან კასპაროვის წასვლის შემდეგ პლანეტის უძლიერეს დიდოსტატად ინდუსი მიიჩნევა და ახლა სოფიაში თავისი სიძლიერის დამტკიცება მოუწევს. ანანდი ასეთი ტურნირების მოგებას უკვე ნაჩვევია და როგორც 2005 წლის საუკეთესო მოჭადრაკე, „ოსკარითაც“ არის დაჯილდოვებული.

ინდოელზე არანაკლები ფავორიტია მასპინძელთა საუკეთესო მოჭადრაკე და ფიდეს რეიტინგის მესამე ნომერი ტოპალოვი. ბულგარელი სტომატოლოგი საკუთარ კედლებში დიდ გულზეა, ტურნირის ორგანიზატორი დანაილოვი მისი პირადი მენეჯერია. პრესასთან საუბრისას ტოპალოვი ყოველთვის აღნიშნავს, ახლახან ლინარესში კასპაროვს კორიერის ბოლო შეხვედრა მე მოვუგეო. ტოპალოვს შეუძლია, შვიდი საათი საჭადრაკო დაფასთან გაუნძრევლად იჯდეს და თან შეცდომები გაანალიზოს.

„მოვიდა დრო, ნამდვილი შედეგი ვაჩვენო“ — აცხადებს ტოპალოვი.

კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი კრამნიკიც არ ითვლება სუსტ მეტოქედ. რუს დიდოსტატს სუპერტურნირები მრავლად მოუგია, თუმც ამ ბოლო ხანს რაღაც ჩავარდნები აქვს და სახელის აღდგენას სოფიაში ეცდება.

ტურნირის ერთადერთი მანდილოსანი პოლგარი ერთწლიანი შესვენების შემდეგ საჭადრაკო დაფას იანვარში ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირში დაუბრუნდა და წარუმატებლად არ უთამაშია. ფიდეს ექსჩემპიონი პონომარიოვი კი უკვე რამდენი ხანია, ჩრდილში მოექცა და ფიდეს რეიტინგში მე-20 ადგილამდე ჩაქვეითდა, მაგრამ წარმატების იმედს არ კარგავს.

არანაკლებ სიურპრიზებს ელიან ადამსისგანაც. ინგლისელ დიდოსტატს მეტსახელად ადამან-ობობას ეძახიან და მას საჭადრაკო დაფაზე თავისი ხრიკებით ბევრი გონიერი დიდოსტატი გაუბამს მახეში.

ტურნირზე ასევე მიწვეულია სკანდალებით ცნობილი დიდოსტატი ბობი ფიშერი, პლანეტის მე-11 ჩემპიონი სოფიაში სტუმრის სტატუსით ჩავა.

ლაშა გეგეჭკორი



ვიშვანათან ანანდი

ვესელინ ტოპალოვი

ახლა გუშის დროა

ამერიკულ პროფესიულ კრივს ახალი მარეგულირებელი ორგანო გამოუჩნდა. გუშინ შეერთებული შტატების სენატმა კრივის სახელმწიფო კომისიის შექმნას მისცა ხმა. ჩინოვნიკთა აზრით, კომისია საკრივო სამყაროს სრული მაკონტროლებელი იქნება. კონკრეტულად, გასცემს ლიცენზიებს მოკრივეებსა და მენეჯერებზე, შექმნის ნაციონალურ კომპიუტერულ ბაზას სპორტსმენთა ჯანმრთელობის შესახებ, მოაწესრიგებს რეიტინგსიებსა და მოკრივე-მენეჯერებს შორის გაფორმებულ კონტრაქტებსაც კი.

კომისიის შექმნის თაობაზე დებატები ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო და ნელ-ნელა დაპირისპირებულმა მხარეებმა ხმამაღალი განცხადებებიც იწყეს.

სიახლის დანერგვის მთავარი ინიციატორი არიზონას შტატის სენატორი ჯონ მაკეინი იყო, რომლის გვერდითაც არაერთი ცნობილი სახე დამდგარა, მწვრთნელისა და კომენტატორის ტედი ატლასისა და ვეტერან მუჰამედ ალის ჩათვლით. საპირისპირო მხარეს კი ყველაზე მეტად კრივის ორგანიზაციები WBA და IBF აქტიურობდნენ.

ბოლოს მთავრობის აზრმა იმარჯვა და სენატის გადაწყვეტილებას ამერიკის პრეზიდენტის ხელმოწერაღა აკლია. თუმც ვიდრე საქმეში ჯორჯ ბუში ჩაერევა, სამკაციანი კომისიის შემადგენლობა უნდა დამტკიცდეს.

ოთარ მაღლაკელიძე

ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი

პეტაკის ეტაპენი?



„ჯირო დიტალია“ ჯერ ხეირიანად არც გახურებულა და უკვე იწყება გამორჩეულ მრბოლებს შორის ვერბალური კინკლაობა. ორშაბათს სანტა მარია დელ ჩერდოში მეორე ეტაპის ქაოტური ფინიშის შემდეგ იტალიელმა სპრინტერმა ალესანდრო პეტაკიმ „ბინძურ თამაშში“ დაადანაშაულა ეტაპის მომგები ავსტრალიელი რობი მაკივენი და ესტონელი იან კირსიპუ, აქაოდა, საფინიშო სპრინტის დაწყებამდე გზა შეგნებულად შემიკრესო.

„ამას დიდი გამოძიება არც სჭირდება, ნებისმიერი მიხვდება, რომ მაკივენი და კირსიპუ შეთანხმდნენ და შეთქმულებივით მოქმედებდნენ ჩემს წინააღმდეგ. იოლად მოვიგებდი სპრინტს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩემი გამარჯვებები ვიღაცეებს არ სიამოვნებთ და ბინძური ხერხებით მოქმედებენ ჩემს წინააღმდეგ“ — ამბობს პეტაკი.

მაკივენი არ ცნობს თავს „დამნაშავედ“, მით უმეტეს, თავის მართლებასაც არ ცდილობს:

„ველოსპრინტი მძლეოსნობა არ არის. აქ არავინ დაუხაზავს სარბენ ბილიკებს პეტაკის ან ნებისმიერ სხვას. ის და მისი გუნდი „ფასა ბორტოლო“ ყოველთვის ერთობლივად მუშაობენ ეტაპის ბოლო მონაკვეთზე და პეტაკის ყოველთვის ხელსაყრელი პოზიცია ეძლევა ბოლო შეტევისთვის. მაგრამ ყველამ უნდა შეიგნოს, რომ სხვა სპრინტერებსაც შეუძლიათ, იბრძოლონ ამ პოზიციისთვის. აღარ დავდგებით „ფასა ბორტოლოს“ უკან და აღარ ვუყურებთ, როგორ მიაბრძანებენ პეტაკის ფინიშთან ტახტრევანით. კი, ის კარგი სპრინტერია და შეიძლება, 10 წმინდა სპრინტიდან 9 მოიგოს, მაგრამ უნდა შეეგუოს იმ აზრსაც, რომ ის მარტო არაა ამქვეყნად. დღეს მე მოვიგე, რადგან უფრო სწრაფი, ძლიერი და ჭკვიანი ვიყავი, თანაც ხელსაყრელ დროს ხელსაყრელ ადგილზე აღმოვჩნდი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოლად გადარჩა

დიდ ხიფათს გადაურჩა ესპანელი მრბოლი ალბერტო ლოპესი. 9 მაისს ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე 33 წლის პირინეელი წინ მიმავალი მრბოლის უკანა თვალს გამოედო, წინასწორობა დაკარგა და დაცემისას თავი დაჰკრა უსაფრთხოების ბარიერს. დასისხლიანებული და რამდენიმე წამით გონდაკარგული ლოპესი მსწრაფლ გააქანეს ჰოსპიტალში, სადაც ტვინის შერყევა დაუდგინეს. მას აგრეთვე გაბზარული აქვს რამდენიმე ნეკნი, გვარიანადაა დაბეჟილი და ექიმები ჯერ ვერ იტყობინებიან, როდის გაწერენ დაშავებულს. ერთი კი ცხადია, ვეტერანი ველომრბოლისთვის ჯირო დამთავრდა.

კოტე ყორღია

ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ვენა-ინსბრუკი

შვედი ფინელისთვის თავს მოიკლავს?

აი, კითხვა, რომელიც ჩემპიონატზე დაიბადა



F ჯგუფში შვედებს თავი ჭუდში აქვთ

რიგორ ფიქრობთ, მოიკლავს თავს ფინელისთვის შვედი, მით უმეტეს, როცა ეს მას არაფერში სჭირდება?

ორშაბათს გამართული მატჩების შემდეგ სწორედ ეს კითხვა დაებადა ყველას მსოფლიოს ჩემპიონატზე. ფინელთა მოულოდნელმა ფრემ მეოთხედფინალებს მიღმა დარჩენის საფრთხის წინაშე დააყენა. საქმე ისაა, რომ ბოლო მატჩში ბალტიისპირელები შვედებს ხვდებიან. მოგების შემთხვევაში ისინი სუომელთა ნაკრებს გაუსწრებენ და მეოთხე ადგილს დაიკავებენ F ჯგუფში. სხვა დროს ასეთი შედეგი სენსაციად აღიქმებოდა, მაგრამ შვედებს მეოთხედფინალში გასვლა უკვე განაღდებული აქვთ. ასე რომ, შეუძლიათ, თავი არ მოიკლან. თუმც ლატვიელებთან მოგების შემთხვევაში ისინი ჯგუფში პირველ ადგილზე გავლენ და შესაბამისად მეოთხედფინალში სავარაუდოდ ყველაზე სასურველ მეტოქეს, შვეიცარიას შეხვდებიან. შვედების და ფინელების დაპირისპირების ისტორიიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ვიკინგებმა შეჯახება გამორიცხონ.

თუმც ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდები იყო და სინამდვილეში რა მოხდებოდა, ეს გუშინ გვიან უნდა გარკვეულიყო. ჩვენ ჯერ იმაში გაერკვიოთ, თუ რატომ დაკარგეს ქუდა ფინელებმა ლატვიასთან შეხვედრაში.

პირველი წუთები სუომელებმა ისე მრისხანედ დაიწყეს, თითქოს უმალ სურდათ მეტოქისთვის თავისი ადგილის მიჩენა და იმის დამტკიცება, რომ ლატვია ფინეთისთვის ღირსეული მეტოქე არ არის. უკვე მე-20 წამზე ლატვიელთა კარის დარაჯმა არტურს ირბემ (ეს კაცი თითქოს არ ბერდება) ბრწყინვალედ მოიგერია კიმო ტიმონენის დარტყმა. ცოტა ხანში სუომელებმა გაიტანეს კიდეც, მაგრამ წამით ადრე მსაჯმა რაიბერმა გააჩერა თამაში. თუმც ფავორიტი მხოლოდ მე-6 წუთამდე ბობოქრობდა, სანამ ვილე პელტონენმა წესები არ დაარღვია. ამის შემდეგ ლატვიელებმა დაადეს ტემპი და თამაში თავიანთთვის სასურველ ყაიდაზე წაიყვანეს. მართალია, ამის შემდეგაც უპირატესობას ფინელები ფლობდნენ, მაგრამ მათ შეტევებს სიმწვავე აშკარად აკლდა, თანაც ირბეც საუცხოოდ ირჯებოდა.

„ლატვიელებმა დაცვაში ჩინებულად ითამაშეს და ახლა ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, რა მოხდება“ — ამბობდა ფინელთა თავკაცი ერკა ვესტერლუნდი.

თუმც ეს დღის ერთადერთი სენსაცია როდი იყო. აშშ-ს ნაკრები, როგორც ჩანს, წინა მატჩში შვედების განადგურების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა. ჰოდა, მეშვიდე ცაზე მყოფი ამერიკელები მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, როცა ორი პერიოდის შემდეგ წაგების მარცხი დაემუქრათ. უკრაინელები ხომ ამ მომენტისთვის 1:0 იგებდნენ კასიანჩუკის მიერ იშვიათ კონტრშეტევაში გატანილის შემდეგ. ბოლო მესამედის მესამე წუთზე ჰაუერმა შორეული დარტყმით გაათანაბრა, მაგრამ დარჩენილ დროში ამერიკელებმა ველარაფერი მოუხერხეს მეტოქეთა მეკარე სიმჩუკს. მათ ვერც ბულიტმა უშველა.

საინტერესოა, რომ თავიდან არბიტრმა რუდოლფ ლაუფმა მხოლოდ ორწუთიანი ჯარიმით დასაჩუქრა სიმჩუკი კარის განზრახ გაწევის გამო, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ როცა თამაშის დამთავრებამდე ორ წუთზე ნაკლები რჩება, ამგვარი დარღვევის გამო ბულიტი ინიშნება. მერე აშშ-ელებმა გააოცეს მაყურებლები. ესოდენ საპასუხისმგებლო მომენტში დარტყმა ნორჩ დებიუტანტ ზაკ პარიზეს დაავალეს, რომელმაც ნერვიულობა ვერ დასძლია და შაიბა პირდაპირ სიმჩუკს გაარტყა.

„პარიზე ჩვენი ჰოკეის მომავალია, კარგად ითამაშა და ამიტომაც ეს უფლება სავსებით დაიმსახურა“ — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება აშშ-ს თავკაცმა პიტერ ლავიოლეტმა. ისე, მთავარი ამოცანა (მეოთხედფინალი) ამერიკელებს უკვე შესრულებული აქვთ. ასე რომ, სანერვიულო არაფერი ჰქონდათ.

ორი ყოფილი მოძმისგან განსხვავებით, ბელარუსის ნაკრებმა ვერ მოაწყო სიურპრიზი. ისე, შვეიცარიელებთან მათ გამარჯვებას დიდ მოულოდნელობად არავინ ჩათვლიდა გუნდების თითქმის თანაბარი დონის გამო. უბრალოდ, ბელარუსები მოგების შემთხვევაში პირველად გავიდნენ მეოთხედფინალში. როგორც ჩანს, სლავები მეტოქის სწრაფმა გოლმა გამოიყვანა მწყობრიდან. უკვე მეორე წუთზე გორან ბეზინამ ორი ერთზე გასვლა გოლით დასრულა. მხოლოდ მესამე პერიოდში გააქტიურდნენ ბელარუსები, მაგრამ ამაოდ. ბოლო წამებზე კი ციგლერმა ცარიელ კარში გაიტანა და მატჩს წერტილი დაუსვა. ასე რომ F ჯგუფისგან განსხვავებით, E-ში უკვე ოთხივე მეოთხედფინალისტიც ცნობილია და პირველი ადგილის მფლობელიც. ეს პატივი რუსებს ერგოთ, რომლებიც უპრობლემოდ გაუმკლავდნენ ყაზახებს.

სამუელ ღარიბიანი

E ჯგუფი

რუსეთი 3:1 ყაზახეთი

ბელარუსი 0:2 შვეიცარია

რუსეთი	3	2	0	13:8	8
ჩეხეთი	3	0	1	10:4	6
სლოვაკეთი	2	1	1	9:10	5
შვეიცარია	2	1	2	9:10	5
ბელარუსი	1	0	3	3:6	2
ყაზახეთი	0	0	4	2:8	0

F ჯგუფი

აშშ 1:1 უკრაინა

ფინეთი 0:0 ლატვია

აშშ	2	2	1	14:10	6
შვედეთი	3	0	1	14:12	6
კანადა	2	1	1	16:13	5
ფინეთი	1	3	1	12:13	5
ლატვია	1	1	2	8:9	3
უკრაინა	0	1	3	4:11	1

მე-13-16 ადგილებისთვის

გერმანია 9:1 სლოვენია

კოპაკაბანა

კოპაკაბანაზე გახურდა მსოფლიოს ჩემპიონატი სალაჟო ფეხბურთში. რომარიო ხომ იცანით. პირველადაა, რომ სალაჟო ნაკრებში თამაშობს. ურუგვაელ ფაბიანს კი ასე გააქვს გოლი სამხრეთაფრიკელთა კარში. ფავორიტი, ცხადია, ბრაზილიაა.

AFP რიო დე ჟანეირიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ვუდლეიქი

კალიფორნიაში გრძელდება ვუდლეიქის როდეო: უგანთქმულესი კოვბოური ფესტივალი, რომელიც 54-ედ ტარდება და მოიცავს აღლუმს, ჭამა-ყლაპვის ფესტივალს, სილამაზის კონკურსს და, რა თქმა უნდა, კოვბოურ სიჩაუქეს. „სტირ რესლინგი“ ერთ-ერთი ასეთია: ცხენდაცხენ მოზვერის წაქცევა.



AFP ვუდლეიქიდან

AFP მარტორელესიდან

მეფე ქარხანაში

ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი (შუაში) მარტორელესის მოტოქარხანაში მისულა, რომელიც ბარსელონის ახლოს მდებარეობს. სულ რამდენიმე თვეა, რაც ეს ქარხანა გაიხსნა და „აპრილიას“ მოტოებს უშვებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge